პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-არ. და მაზრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48
რედაქციაში ხელნაწერის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19
ხელის მოწერის ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—20 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 500 ათ. მ.

დღიური

მოკავშირეები სცდილობენ ლოზანის კონფერენციის საჩქაროთ დამთავრებას.

ბერლინის პოლიციის მეთაურმა ხ. დ. [illegible] დემონსტრაციები და მიტინგები.

გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები [illegible] მუშათა მთავრობის შედგენას

საფრანგეთის კომუნისტური პარტია აწყობს გამოსვლებს რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ.

სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მოწოდება გამოუშვა რურის ოლქის ოკუპაციის გამო

№ 11 სამშაბათი, 16 იანვარი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 1

სამშაბათს, 16 იანვარს. შესდგება
საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
პლენუმის მორიგი სხდომა
ს. კ. პ. ც. კ. მდივანი ხაბაშვილი.

---

17 იანვარს, 1923 წ.
ქალ. ტფილისში საღ. 6 საათ. გაიხსნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

საგანგებო სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცება—მომხ. (შ. ელიავა).
2. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია—მომხ (მ. ორახელაშვილი).
3. სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება—მომხსენებელი (დ. კანდელაკი.)
4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება—მომხსენებელი ვ. სტურუა)
5. მიმდინარე საკითხები.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი
წინადადებას აძლევს ორგანიზაციულ განყოფილებათა გამგეებს
17 იანვ. დღის 3 საათზე გამოცხადდნენ საერთო-ამიერ-კავკასიის თათბირზე
ორგანიზაციულ საკითხების გასარჩევად.
რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციული განყოფილების გამგე: იუშაკი

საქართველოს ცაკის საგანგებო სესია

ხვალინდელს, 17 იანვრიდან მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო სესია.

სესიის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1. რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცება; 2. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია; 3 სახალხო განათლების კომისარიატის მოხსენება; 4. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ცაკის საგანგებო სესიის მუშაობას.

რაპალოს ხელშეკრულება, როგორც ვიცით, დაიდვა გენუის კონფერენციის მსვლელობაში საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის.

ეს იყო საბჭოთა რესპუბლიკის უდიდესი გამარჯვება საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა ხელისუფლებამ საგრძნობლად შეზარა ბურჟუაზიული შენობის კედელი. რაპალოს ხელშეკრულება, რომელიც აგებულია ორივე მხარის უფლებათა პატივცემაზე და ინტერესთა გაგებაზე, ნიმუშია მომავალ ურთიერთობათა, რომელიც შეიძლება დამყარდეს საბჭოთა რესპუბლიკებსა და ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის.

რაპალოს აქტი საბჭოთა რესპუბლიკებიდან თავდაპირველად ვრცელდებოდა მხოლოდ რუსეთზე, რომელმაც იგი დასდო. დანარჩენ საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებიც მოითხოვდნენ, რათა იგი გავრცელებულიყო მათზედაც; საჭირო იყო აგრეთვე გერმანიისათვისაც, რომელიც ამით გააფართოვებდა თავის საგარეო ურთიერთობას.

ამ მოთხოვნილებამ კიდეც ჰპოვა თავისი ფორმალური გამოხატულება და ბერლინში ამისათვის უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს აქტს, რომლის ძალით რაპალოს ხელშეკრულება ვრცელდება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებზედაც.

კარგად გვახსოვს, თუ როგორ შეეცადნენ ჩვენი მენშევიკები, თავის რუს და გერმანელ თანამოაზრეების საშუალებით, რათა რაპალოს ხელშეკრულება არ გავრცელებულიყო საქართველოზე. ისინი არავითარ შემთხვევას არ უშვებენ, რათა შეებრძოლონ ჩვენი რესპუბლიკის გაძლიერების ყოველგვარ მოვლენას და ფაქტს.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, მათმა ბოროტმა ცდამ, ახლაც ვერ გაჭრა. და დღეს ჩვენი ცაკის სესიის წინაშე დგას რაპალოს ხელშეკრულების დამტკიცების საკითხი. სესია მას დაადასტურებს. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას, დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად. რაც შეეხება რეალურ შედეგებს რაპალოს ხელშეკრულებიდან, ასეთები, მართალია, ჯერ ჯერობით ნაკლებად ჩანს. ეს აიხსნება: ანტანტის გავლენით, რომელიც ცდილობს რაპალოს მშვიდობიანობის გაქარწყლებას, გერმანიის და საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო და პოლიტიკურ სისტემათა ძირითადი განსხვავებით, რაც ხელს უშლის ეკონომიურ ხელშეკრულების დადებას; ბოლოს თვით გერმანიის გართულებული მდგომარეობით. მთელი რიგი გარემოებები აიძულებს გერმანიას, დღევანდელ კრიზისიდან თავის დასაღწევად, საბჭოთა ფედერაციასთან გააბას მჭიდრო ურთიერთობა, და მაშინ რაპალოს ხელშეკრულება ორივე მხარეს მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს.

საგანგებო სესიის მეორე საკითხად დგას საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.

საკავშირო ყრილობამ, რომელიც ამას წინად შესდგა მოსკოვში, საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს. ფაქტიურად მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა მანამდეც არსებობდა საბჭოთა ქვეყნებს შორის. ეს კავშირი შექმნა თვით ცხოვრებამ, ის გამოწვეული იყო მშრომელთა რესპუბლიკების საერთო ინტერესების შეგნებით, მათი მისწრაფებით ძალთა და საშუალებათა კოორდინაციისაკენ როგორც საბჭოთა მეურნეობის აღორძინებისათვის და ცხოვრების სხვა ყველასათვის საერთო დარგების უკეთ მოსაწყობად, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში მეტი სიმტკიცის და წონის მოსაპოვებლად.

საბჭოთა შექმნა თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი ერთობის ფორმალურად ჩამოყალიბება. თანახმად მთელი საბჭოთა ფედერაციის მშრომელთა ნებისყოფისა, რომელიც გამოაშკარავდა ადგილობრივ ყრილობებზე, საერთო, საკავშირო ყრილობამ ცხოვრების ამ მოთხოვნილებას ხორცი შეასხა, მან გარკვეული, დეტალურად შემუშავებულ ხელშეკრულების საფუძვლებზე შექმნა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ეს ხელშეკრულება ჩვენს გაზეთშიც იყო გამოქვეყნებული და მკითხველი მას გაცნობილია. ამჟამად ჩვენ არ შევუდგებით ამ ხელშეკრულების გარჩევას, ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი დედა აზრი მდგომარეობს, ერთი მხრივ, საბჭოთა რესპუბლიკების საერთო საქმეების გაძღოლა მოწესრიგებაში საერთო, საკავშირო ცენტრალურ ორგანოების საშუალებით, მეორე მხრივ კავშირში შემავალ რესპუბლიკების სრულ თანასწორობაში და ცალკე ხალხების კულტურული უფლებ-ინტერესების სავსებით უზრუნველყოფაში და ადგილობრივ მნიშვნელობის საქმეების მოგვარებაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მიერ.

აქ სავსებით შეთანხმებულია ინტერესები მთელი ფედერაციის და მასში შემავალ ცალკე ერთეულების.

ცაკის სესია განიხილავს და რატიფიკაციას უზამს საკავშირო—ხელშეკრულებას, ასეთია ნებისყოფა საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის. ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ გაილაშქრებენ მხოლოდ ისინი, ვისაც სწყურია მშრომელთა ძალების დაქსაქსვა, ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივება. ასეთები არიან მენშევიკები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები. ქართველმა მშრომელმა ხალხმა კარგა ხანია მათ ზურგი შეაქცია, ჩვენი მშრომელი მასსა მოწადინებულია საბჭოთა რესპუბლიკების დანარჩენ ხალხებთან გაერთიანებას, საერთო ძალღონით თავის ბატონობის განმტკიცებას და ცხოვრების გაუმჯობესებას. [illegible] კომიტეტი ჭეშმარიტი გამომხატველია მშრომელ მასსის მისწრაფებების, და ამიტომ, ვფიქრობთ, ის თავის სესიაზე სავსებით გაიზიარებს საკავშირო ყრილობაზე გამომუშავებულ და მიღებულ ხელშეკრულებას.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, სესიის დღის წესრიგში დგას კიდევ ორი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი სახალხო განათლების და მიწად მოქმედების შესახებ. ამაზე შემდეგ.

მივსცეთ ახალგაზრდობას კომუნისტური უნივერსიტეტი

(ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პირველი სესიისათვის)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მჭიდრო ძმობით შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფალ კავშირში. როგორც მთელ კავშირის, ისე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას გაჭირვება მტკიცე პარტიული საბჭოთა აპარატი, რომელშიაც ყველა გადამწყვეტი ადგილები ყველა საკომანდო პოსტები უნდა დაიკავონ ჩვენმა ამხანაგებმა. ჩვენთვის საჭიროა საკუთარი ხელმძღვანელი იდეოლოგიური კადრი, რომელიც შედგენილი უნდა იყოს გამობრძმედილ პარტიულების—ბოლშევიკებისგან, კომუნისტებისაგან, მტკიცე მარქსისტულად გაკაჟებულ და პრაქტიკულ მუშაობის ამა თუ იმ დარგში რიგიანად მომზადილ პირებისაგან.

ჩვენში ცოტაა ასეთი პირები. ძალიან ცოტაა ძველი პარტიული გვარდიის რიგები მცირდება, ხოლო ახალგაზრდა პარტიულ ახალგაზრდობის კომკავშირის გვარდიას არ აქვს ასეთი მარქსისტული მომზადება, რომელიც საჭიროა ძველი გვარდიის თანადროულ და წარმატებით შეცვლისათვის.

„აი ამიტომ ახალგაზრდობის კავშირის საკითხი არის ჩვენი ქვეყნის სამკვდრო სასიცოცხლო საკითხი, ჩვენი რევოლიუციის ყოფნა არ ყოფნის, მსოფლიო რევოლიუციონერ მოძრაობის ბედის საკითხი... ჩვენ ყველაზე მეტად გვმართებს სწავლა... სწავლა ჩვენთვის საჭირო, სასწრაფო, ხოლო სერიოზულად მომზადება ხანგრძლივ,—ასე ლაპარაკობდა ამხ. ტროცკი სრულიად რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის 5-ე ყრილობაზე.

იგივე უთხრა ახალგაზრდობას ამხ. ბუხარინმა: „კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს ეძლევა პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა... ეს სრულიად წმინდა ჭეშმარიტებაა, ეს არის ძალიან ფხიზელი აღრიცხვის შედეგი. თუ ჩვენ მოზარდ ახალგაზრდობისაგან, „ვერ შევძლებთ მომავალ საჭირო ხელმძღვანელ კადრის შექმნას, მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ საქმეს დიდი საფრთხე მოელის“...

ამხ. ლენინმა კი კომინტერნის, მეოთხე კონგრესზე სწავლების საკითხი ინტერნაციონალური მაშტაბით დააყენა: „ყველაზე მნიშვნელოვანი ყველა ჩვენთვის, როგორც რუსების, ისე უცხოელი ამხანაგებისათვის არის ის, რომ რუსეთის რევოლიუციის 5 წლის შემდეგ, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ ჟამად ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა—სწავლა და სწავლა... ჩვენ უნდა უთხრათ არა მარტო რუსებს, არამედ საზღვარგარეთელ ამხანაგებსაც, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მახლობელ პერიოდში არის სწავლა აქ მოკლე დროში ვერაფერს გავაკეთებთ, ეს ყველ ეჭვს გარეშეა. საჭიროა მუშაობა რამდენიმე წლის განმავლობაში, რათა გავაუმჯობესოთ აპარატი, შევსცვალოთ იგი და მოვიზიდოთ ახალი ძალები. ჩვენ ამას საკმაო ჩქარი ტემპით ჩავდივართ, შესაძლოა ძალიან ჩქარის ტემპით. დაარსებულია საბჭოთა შკოლები, მუშათა ფაკულტეტები, რამდენიმე ასეული ახალგაზრდა სწავლობს, სწავლობს, შესაძლოა ძალიან აჩქარებით... თუ ჩვენ ვიმუშავებთ არა ძალიან აჩქარებით, მაშინ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გვეყოლება მრავალი ახალგაზრდები, რომელნიც მოახერხებენ ჩვენი აპარატის ძირიანად შეცვლას.

მაშასადამე, ჩვენი პარტიის უდიდესმა თეორეტიკოსებმა და ბელადებმა 22 და 23 წლის საზღვარზე კომინტერნის, რუსეთის კომპარტიის და რუს. ახალგაზრდათა კომკავშირის საზოგადოებრივი აზრის წინაშე დასვეს მიმდინარე მომენტის ძირითადი ამოცანა იმ გვარად, რომ იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვების მოსაპოებლად, **ჩვენი ახალგაზრდობისათვის საჭიროა სწავლა არა ძალიან აჩქარებით, რამდენიმე წლების განმავლობაში (ლენინი), სერიოზულად და ხანგრძლივად (ტროცკი)—და მხოლოდ ამ გზით ჩვენ შეუქმნით სოციალიზმს ფართო კულტურულ ბაზას მიუხედავად ახალი ეკონომიური პოლიტიკის უარყოფითი მხარეებისა. (ბუხარინი).**

საჭიროა სწავლა! მაგრამ სისტემატიურად, ენერგიულად, რამდენიმე წლების განმავლობაში, არა ძალიან აჩქარებით, სერიოზულად და ხანგრძლივად, სწავლას ჩვენი ახალგაზრდობა შესძლებს იმ შემთხვევაში თუ ჩვენში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში გვექნება საკუთარი კომუნისტური უნივერსიტეტი.

ჩვენ ამ მხრივ ჩამოვრჩით არა მარტო მოსკოვს, პეტერს, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის რევოლიუციონერ სატახტო ქალაქებს,—არამედ ჩვენ ჩამოვრჩით უკრაინას (ხარკოვის კომუნისტური უნივერსიტეტი), ციმბირს (ომსკის კომუნისტ. უნივერსიტეტი), თათართა რესპუბლიკას (ყაზანის კომ. უნივერსიტეტი), ვოლგის მხარეს (სარატოვის კომ. უნ-ტ.) ურალს (ეკატერინბურგის კომ. უნ-ტ), და თურქესტანსაც კი (ტაშკენტის კომ. უნ-ტ) პროვინციალური კომუნისტური უნივერსიტეტები დაარსდნენ 1921—22 წლებში მეორე საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლებისაგან, მიუხედავათ მეტად მძიმე ობიექტიურ პირობებისა, როგორც მაგ.: თურქესტანში ბამბის მეურნეობის საშინელი დაცემა, შიმშილი ვოლგის მხარეში, თათართა რესპუბლიკაში და სხვ.

პროვინციალური კომუნისტური უნივერსიტეტები არსებობენ, მუშაობენ, ვითარდებიან, მათ აქვთ საკუთარი სალექტორო და ძირითადი ფაკულტეტები 2—3 წლიანი კურსით, და 2—3 ათასი სტუდენტებით.

ამიერ კავკასია არ არის უფრო ღარიბი არც მატერიალური რესურსებით და არც მარქსისტული ძალებით, ვიდრე ვოლგის მხარე, ურალი, თურქესტანი ან თათართა რესპუბლიკა. და თუ ჩვენ დღემდის არ გვქონია ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი, ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დაქსაქსულობით. მაგრამ ამჟამად ეს დაბრკოლება გადალახულია: ამიერ კავკასიის საბჭ. სოც. ფედერატიული რესპუბლიკა არის ურყევი ფაქტი, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენმა მტრებმაც და მეგობრებმაც. ამიერ კავკასიაში პარტიულ მუშაობას სათავეში უდგია ფრიად ავტორიტეტული ორგანო რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, ხოლო საბჭოთა მუშაობას—ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ასეთი ორი საიმედო პატრონი საკმარისია კომუნისტური უნივერსიტეტის მოსაწყობად.

ახალგაზრდათა კომკავშირის დიდ ლაშქარს აქვს უფლება მოითხოვოს, რომ ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის ცაკის პირველმა სესიამ დააარსოს ჩვენ მხარეს ბაქოს 26 კომუნარის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის ორგანიზაციას დასჭირდება ბევრი საშუალებანი და ძალები. მაგრამ რა გაეწყობა? მარქსმა დიდხანს სწერდა (კაპიტალის 1 ტომის ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში 1873 წ.), „მეცნიერებისაკენ მისასვლელი არაა ფართო სამხედრო გზა, და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვინც შრომის დაუზოგავად მიფოფხავს მის ქვებით მოფენილ ვიწრო გზებზე“.

ჩვენ წარჩინებული ახალგაზრდობა გვყავს—ის მზად არის ახალგაზრდა კბილებით გაღრღნას მეცნიერების სალი კლდე, ის მზად არის იფოფხოს მარქსისტული მეცნიერების ნარ-ეკლიან გზებზე, ის მიაღწევს მეცნიერების მწვერვალებს, შეიძენს მარქსისტულ სიმტკიცეს და მოემზადება ძველების შესაცვლელად, თუ ძველი პარტიული გვარდია ცაკის პირველ სესიაზე დაადგენს უძღვნას ახალგაზრდობას სულ ახლო მომავალში ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი.

ხ. ნოვიკოვი.

შრომის ახალი კანონების კოდექსი

III.

კოლექტიური და ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულება

როგორც პირველ წერილში ვთქვი, შრომის კანონები წარმოადგენს ყველასათვის სავალდებულო მინიმუმ, რომლის შეცვლა შეიძლება შრომის პირობების გაუმჯობესების მხრივ. კანონი ამ მხრივ სრულ თავისუფლებას აძლევს დამქირავებელს და დაქირავებულს შეთანხმების წესით დააწესონ უფრო უკეთესი პირობები, ვიდრე ეს კანონშია გათვალისწინებული.

ამ რიგათ შეთანხმებას, პირობის დადებას და სავალდებულო ნორმების გადიდებას ფართო ადგილი ეძლევა. ის განსაზღვრულია მხოლოდ მინიმუმით, მაქსიმუმი კი, როგორც შემზღუდავი, არ არსებობს.

აი სწორეთ შრომის ახალ კანონების კოდექსში საკმაო ადგილი უჭირავს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ხელშეკრულების დადების წესს.

ყოველივე ხელშეკრულება ან შეთანხმება შრომის პირობების შესახებ შეიძლება იქნეს კოლექტიური ან ინდივიდუალური.

კოლექტიური ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნას ერთის მხრივ მუშა მოსამსახურეთა კავშირის და მეორეს მხრივ წარმოება-დაწესებულება ადმინისტრაციის ან მეპატრონის შორის

პროფესიონალური კავშირი კოლექტიურ ხელშეკრულებაში გამოდის ერთ მხარეთ, როგორც მუშა მოსამსახურეთა შეკავშირებული ორგანო იურიდიული უფლებებით აღჭურვილი

კანონი ხაზს უსვამს პროფესიონალური კავშირის უფლებას მუშა-მოსამსახურეთა სახელით გამოსვლის შესახებ ეს ფრიად მნიშვნელოვანია, ვინაიდან უამისოთ კერძო წარმოება-დაწესებულებათ შეეძლოთ უარი ეთქვათ რაიმე ხელშეკრულების დადებაზე პროფეს. კავშირთან, ვინაიდან მათ ურჩევნიათ საქმე იქონიონ უშუალოთ თავის მუშა-მოსამსახურეებთან, როგორც უფრო სუსტ მხარესთან კავშირთან შედარებით.

თუმცა კანონით გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულების დადების წესი მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ მისი დადება კანონით სავალდებულო იყოს

ხელშეკრულება, როგორც ასეთი, არის თავისუფალი შეთანხმების შედეგი თუ ეს შეთანხმება სავალდებულო იქნება, ის დაკარგავს თავისუფალი შეთანხმების ხასიათს და გახდება კანონის ნორმათ. ამიტომ კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ წესი ხელშეკრულების დადებისა და არა მისი ვალდებულობა.

იტყვით რომ ასეთი წესი საშუალებას მისცემს მწარმოებლებს უარი სთქვან კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე, რამდენათ ხელშეკრულების მიზანია მომუშავეების პირობების გაუმჯობესება კანონის მინიმალურ ნორმებთან შედარებით და ეს კი სასარგებლო არ იქნება მწარმოებლებისათვის.

სრული სიმართლეა, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ფართო უფლებებს აძლევს პროფესიონალურ კავშირებს და არა თუ ხელს უშლის მათ ბრძოლას კერძო მწარმოებლებთან, არამედ კიდეც ეხმარება, ასეთი შიში უსაფუძვლო იქნება. კავშირების ხელშია კერძო მწარმოებლების წინააღმდეგ გაფიცვა და სხვა ზომები, რაც წარმოებლებს აიძულებს ხელშეკრულების დადებაზე. ასეთ ბრძოლას კი მუშა-მოსამსახურეების მიერ თავის შრომის პირობების გასაუმჯობესებლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

დადებული კოლექტიური ხელშეკრულების პირობები ვრცელდება ყველა იმ პირებზე, ვინც მუშაობს იმ წარმოებებში, რომლისთვისაც ხელშეკრულება დაიდვა, როგორც კავშირის წევრებზე, ისე არა კავშირის წევრებზედაც მიუხედავათ იმისა, რომ ხელშეკრულების დამდები ერთ მხარეთ გამოდის პროფესიონალური კავშირი და გასაკვირალი არ იყო, რომ მას მხოლოდ კავშირის წევრებისათვის დაედვა ხელშეკრულება. მაგრამ ასეთი გამოყოფა კავშირის წევრებისა არ ხდება.

ხელშეკრულების პირობები არ ვრცელდება მხოლოდ ადმინისტრატიულ პირებზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება მიღება-დათხოვნისა.

კოდექსი უფლებას აძლევს პროფკავშირებს და შრომის კომისარიატის ორგანოებს დააწესონ განსაზღვრული ვადა ხელშეკრულების ხანგრძლივობისა. ვადის განსაზღვრა აუცილებელია, ვინაიდან რაც მეტი დრო გადის მით უფრო მდგომარეობა უმჯობესდება და ხანგრძლივი დროით დადებული ხელშეკრულების პირობები კი უცვლელი რჩება, რაც მშრომელებისათვის სასარგებლო არ არის.

ყველა ის ხელშეკრულებანი ან მისი ცალკე მუხლები, რომელიც მშრომელების მდგომარეობას აუარესებენ არსებულ კანონებთან შედარებით, უკანონოთ ითვლებიან, მიუხედავათ იმისა, რომ ის ორივე მხარის მიერ ერთმანეთის თანხმობით არის ხელმოწერილი.

კოდექსი ნათლად ამბობს (მე-20 მუხლში), რომ პროფესიონალური კავშირები არ იღებენ არავითარ ქონებრივ პასუხისმგებლობას კოლექტიურ ხელშეკრულებით (დარღვევა, პირობების შეუსრულებლობა და სხვა). ბურჟუაზიული და საქართველოს მენშევიკების შრომის კანონები კი უფლებას აძლევენ მწარმოებლებს ქონებრივი პასუხისმგებლობა მოსთხოვონ კავშირებს.

კოლექტიური ხელშეკრულება არ შეიძლება დარღვეული ან მოსპობილი იქნას ვადამდე, წარმოება-დაწესებულებები რეორგანიზაციის მიზეზით.

ძალაში რჩება აგრეთვე დადებული კოლექტიური ხელშეკრულების პირობები იმ შემთხვევაშიაც, როცა წარმოება და დაწესებულება გადადის ახალი ადმინისტრაციის ან მეპატრონის ხელში. მათთვის სავალდებულოა ყველა ის შეთანხმებანი, რომელიც მოხდა ძველ მეპატრონის და ადმინისტრაციის და მომუშავეთა შორის.

განსაკუთრებულ შემთხვევებში მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, აღძრან საკითხი ხელშეკრულების შეცვლის შესახებ მთლიანათ ან ნაწილობრივ, მაგრამ სანამ ახალი შეთანხმება არ დაიდება, ძველი პირობები ძალაში რჩება.

კოლექტიური ხელშეკრულების გარდა შრომის ახალი კანონების კოდექსი გათვალისწინებული აქვს **ინდივიდუალური შრომის ხელშეკრულება** ერთის მხრივ დამქირავებელსა და მეორე მხრივ დაქირავებულს შორის.

კოლექტიური ხელშეკრულების არსებობა არ უარყოფს ინდივიდუალურ ხელშეკრულების საჭიროებას. უკანასკნელი იდება იმის და მიუხედავათ, არის თუ არა კოლექტიური ხელშეკრულება.

ინდივიდუალურ შრომის ხელშეკრულების პირობების დადება შეთანხმების საქმეა, ხოლო უკანონოთ ჩაითვლება ყველა ის პირობები, რომელიც ზღუდავს მშრომელის პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებს ან აუარესებს მის მდგომარეობას არსებულ კანონებთან და კოლექტიური ხელშეკრულებასთან შედარებით,

ინდივიდ. შრომის ხელშეკრულების დადებას თან უძღვის [illegible] ცდა, რომელიც წარმოადგენს დაწერილ პირობას. როცა მუშაობა სწარმოებს არა ხელშეკრულების დამდებ პირისათვის, არამედ წარმოება დაწესებულებისათვის, პასუხს ხელშეკრულების ასრულებაში აგებს, არა დამქირავებელი პირი, არამედ ის პირი ან დაწესებულება, რომლისთვისაც მუშაობა სწარმოებს, გარდა იმ შემთხვევებისა როცა მუშაობა სწარმოებს იჯარით. მაშინ პასუხის მგებლათ ითვლება მოიჯარადე.

დაქირავებულს არ შეუძლია მასზე დაკისრებული მუშაობა დაავალოს დამქირავებლის დაუკითხავათ სხვა პირს.

დამქირავებელს არ შეუძლია დაავალოს დაქირავებულს ის სამუშაო რომლისთვისაც ის მოწვეული არ ყოფილა, თუ ამას თანხმობა არ არის დაქირავებულისაგან.

განსაკუთრებულ შემთხვევებში როცა ეს გამოწვეულია რაიმე უბედურების აცილებით, სხვა სამუშაოს დავალება დასაშვებია.

როცა დროებით სამუშაო უფრო ნაკლებად ფასდება, დამქირავებელი ვალდებულია მომუშავეს გაუსწოროს ძველი თანამდებობის ხელფასით; თუ კი მეტათ ფასობს—ახალი ხელფასით.

საერთოდ შრომის ახალი კოდექსი დაწვრილებით აწესებს შრომის (ინდივიდუალური) ხელშეკრულების დადების წესს, რაც ნათლად საზღვრავს დამქირავებლის და დაქირავებულის უფლებებს და მოვალეობებს. ეს საუკეთესო გარანტიაა, რომ მშრომელის ინტერესები მთლიანად იქნება დაცული და ცუდ შრომის პირობების დადებას ადგილი არ ექნება.

ხ. გოგიბერიძე.

რადიო-დეპეშები

სრ. რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მოწოდება

(რურის ოლქის ოკუპაციის გამო)

მოსკოვი. 15 იანვარი. იმპერიალისტურ საფრანგეთის ჯარები შევიდა რურის ოლქში. გერმანიის სამრეწველო ცენტრი [illegible] დამპყრობლებმა ჩაიგდეს ხელში. გერმანიის ხალხს კვლავ ჩასცეს მახვილი გულში. ევროპა იდგა სდგას საშინელ საერთაშორისო ომის წინაშე, ამ კრიტიკულ მომენტში მუშურ გლეხურ რუსეთს არ შეუძლია გაჩუმებული იყოს. ის შეურყევლად სდგას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე, ისევე იცავს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, მოუწოდებს რა ყველას განიარაღებისაკენ. ის ეხლაც აღიმაღლებს თავისი აღშფოთების და პროტესტის ხმას იმ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ, რომელსაც სჩადის საფრანგეთი. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 4 წლის იმპერიალისტური ომი დამთავრდა საშინელი უაზრო ზავით ამ ზავმა მთელ ქვეყანას აშკარად დაანახვა ანტანტის სახელმწიფო მოღვაწეთა პირფერობა და ფარისევლობა.

ომის დროს ისინი დიდის ამბით არწმუნებდენ ყველა ქვეყნებს და ხალხებს, რომ ბრძოლას აწარმოებენ თავისუფლების დაცვისთვის და ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის. როდესაც ომი დამთავრდა მათ ყველაფერი დაივიწყეს თავისი დაპირებისა და კეთილშობილურ მოძღვრების შესახებ, მათ თავი მოიყარეს ვერსალში, რათა წაეყენებინათ გერმანიისათვის ისტორიაში ჯერ გაუგონარი საზავო ხელშეკრულება, რომელმაც სავსებით დაამტკიცა, რომ ანტანტის სახელმწიფო მოღვაწენი ფიქრობენ არა თავისუფლებაზე, არამედ სხვის დამონებაზე, არა ერთა თვითგამორკვევაზე, არამედ მათ სასტიკ ჩაგვრაზე.

ძალათ ჩამოაგლიჯეს გერმანიას მთელი რიგი პროვინციებისა და წაართვეს თავდაცვის ყოველგვარი საშუალება. ვერსალის ხელშეკრულებამ ჩამოართვა მას თითქმის მთელი სავაჭრო ფლოტი. მისი ნახშირის მრეწველობის ერთი მესამედი და რკინის მადანის სამი მეოთხედი გერმანიის ხალხს მან კისერზე დაადვა რეპარაციების მძიმე უღელი, რომლის ძალით გერმანიას ფულით, ნახშირით, ტყით და სხვა საქონლით უნდა აენაზღაურებია საფრანგეთში და ბელგიაში ომისგან გაპარტახებულ ოლქების აღდგენისათვის საჭირო ხარჯი ვერსალის ზავმა მძიმე ბორკილი გამოსჭედა გერმანიის ხალხისათვის და ხელ-ფეხ შეკრული გადასცა ის საფრანგეთის იმპერიალისტებს. ვერსალის ზავმა საუკუნოებით განამტკიცა შური და მტრობა ევროპის ხალხებს შორის და შექმნა ევროპაში ეკონომიური და პოლიტიკური ქაოსი.

მუშურ გლეხურმა რუსეთმა თავის დროზე სასტიკი პროტესტი განაცხადა ვერსალის ზავის [illegible] უგუნურობის წინააღმდეგ, იწინასწარმეტყველა რა, რომ ამ ზავის ცხოვრებაში გატარებას საშინელი შედეგი მოჰყვება ევროპისა და მთელი ქვეყნისათვის, მისი წინასწარმეტყველობა სინამდვილემ სავსებით გაამართლა.

4 ნ. ხ. წელი, რომელიც გავიდა ვერსალის ზავზე ხელის მოწერის დღიდან, იყო ხანა გაუთავებელი მტრობისა და კინკლაობის ევროპის ხალხებს შორის, ხანა შეიარაღების ზრდისა და ევროპის მეურნეობის შეუჩერებელი გახრწნისა.

მაგრამ იმპერიალისტური საფრანგეთის ეხლანდელი მმართველნი ვერსალის ზავითაც არ დაკმაყოფილდნენ. თავისი გაუმაძღარი დაპყრობის სურვილით მათ დალახეს იმ ხელშეკრულების, რომელიც შექმნილი იყო მათი საკუთარი ინიციატივით გერმანიის ხალხის გასანადგურებლად. საფრანგეთის იმპერიალისტებმა კვლავ დაიდეს ხმალი ისტორიის სასწორზე და შეუდგნენ გერმანიის უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრების სამხედრო ოკუპაციას. ამით საფრანგეთის იმპერიალისტებმა აიღეს თავის თავზე უმძიმესი პასუხისმგებლობა ამ თავხედ და უაზრო ძალადობის ყოველგვარ შედეგისათვის.

მაგრამ ამაში დამნაშავეა არა მარტო იმპერიალისტური საფრანგეთი: მას მოკავშირეებს შეეძლოთ ხელი შეეშალათ ამ ბოროტ მოქმედებისათვის, მაგრამ მათ ეს არ მოისურვეს. ისინი ან აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რურის ოლქის სამხედრო ოკუპაციაში ან ფარისევლურად იბანენ ხელს, კმაყოფილდებიან რა სიტყვიერი პროტესტებით და უნაყოფო დემონსტრაციებით. ამიტომ ისინიც აგრეთვე დამნაშავე არიან ამ ბოროტმოქმედებაში. პასუხისმგებელი იმის, რაც ხდება ან რაც მოხდება მომავალში არის არა მარტო პარიზის მთავრობის წრეები, არამედ აგრეთვე ლონდონის, რომის, ბრიუსელის და ტოკიოს მთავრობის წრეებიც.

გერმანიის ხალხის სუვერენიტეტი დარღვეულია. გერმანიის ერის თვითგამორკვევის უფლება ფეხქვეშ გათელილია. გერმანიის ნახევრად განადგურებულ მეურნეობას ახალი მომაკვდინებელი მახვილი ჩასცეს. სასტიკი გაღატაკება და გაუგონარი ჩაგვრა მოელის გერმანიის მშრომელ მასსებს, მთელს ევროპას კი მთელის სამეურნეო ნგრევის გაძლიერება. მსოფლიო კვლავ სდგას საერთაშორისო ომის [illegible] წინაშე. ნაპერწკლები ცვივა ასაფეთქებელ ნივთიერებით სავსე საწყობებში, რომელთაც გადააქცია ევროპა ვერსალის ხელშეკრულებამ,

ამ გადამწყვეტ მომენტში მუშურ-გლეხური რუსეთი კვლავ აღიმაღლებს აღშფოთების და პროტესტის ხმას იმპერიალისტური საფრანგეთის და მისი მოკავშირეების უაზრო პოლიტიკის წინააღმდეგ. ის კვლავ განსაკუთრებულის ენერგიით პროტესტს აცხადებს გერმანიის ხალხის თვითგამორკვევის უფლების ფეხქვეშ გათელვის გამო კვლავ განსაკუთრებული ენერგიით გააფრთხილებს მსოფლიოს ხალხებს ამ ჟამად ევროპაში არსებულ სისხლის ღვრის საფრთხის გამო.

ევროპის ხალხნო! მშვიდობიანობის საქმეს საშინელი საფრთხე მოელის. მშვიდობიანობის ბედი თქვენ ხელთ არის“.

სრულიად რუსეთის აღმასკომის თავმჯდომარე კალინინი.

სრულ. რუს. აღმასკომის მდივანი საპრონოვი

რურის ოლქის ოკუპაცია

ესსენში.

მოსკოვი, 15 იანვ. საფრანგეთის ხელისუფლება უკმაყოფილებას გამოსთქვამს [illegible] გამო. ესსენში გამოცხადებულია სამხედრო წესები. საფრანგეთს განზრახული აქვს მოახდინოს აგრეთვე [illegible] ოკუპაცია.

გერმანიის მთავრობის ნოტა.

მოსკოვი, 15 იანვარი. გერმანიის რწმუნებულმა თავის მთავრობის სახელით ფრანგების მიერ რურის ოლქის ოკუპაციის გამო ნოტით აცნობა საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს, რომ ოკუპაცია ნიშნავს ვერსალის ხელშეკრულების დარღვევას. ამის გამო, გერმანია სწყვეტს [illegible] გადახდას საფრანგეთისათვის. მაგრამ ამავე დროს მას არ აქვს განზრახული ძალდობით უპასუხოს.

ყოველთვის სადარაჯოზე.

ჰანოვერი. 15 იანვარი. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“ იტყობინება, რომ საბჭოთა რუსეთმა მოკავშირეებს გადასცა ნოტა, რომელშიაც გამოთქმულია სასტიკი პროტესტი რურის სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 15 იანვ. „სეკოლოს“ ცნობით, მუსოლინიმ წინადადება მისცა საფრანგეთის მთავრობას თავი შეიკავოს რურში რეპრესიების წარმოებისაგან და მოწვეულ იქნას მოლაპარაკების საწარმოებლად კონფერენცია საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის წარმომადგენლებისაგან. როგორც სჩანს მუსოლინი წინააღმდეგია რურის ოკუპაციის.

ინგლისი და რური.

მოსკოვი, 15 იანვ. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა პასუხი არ გასცეს გერმანიის პროტესტს რურის ოკუპაციის გამო. ამით ინგლისის მთავრობას სურს უარყოს გერმანიის მტკიცება, რომ ფრანგების მიერ დარღვეულია ვერსალის ხელშეკრულება.

ინგლისში ფიქრობენ, რომ მდგომარეობა გამწვავდება მაშინ, როდესაც ფრანგები რურის ნახშირის სინდიკატის წევრებს მოსთხოვენ; მოსალოდნელია, რომ ამას გერმანელები წინააღმდეგობას გაუწევენ.

ლონდონის სენსაციური ხმები.

ვრცელდება, რომ რურის ოკუპაცია მოხდა საფრანგეთის მრეწველთა ჯგუფის სტინესთან შეთანხმებით. ფიქრობენ, რომ სტინესს იმედი აქვს, რომ ფრანგები მალე [illegible], რომ ისინი შეუძლებენ გააერთიანონ რურის მრეწველობა ლოტარინგიის მრეწველობასთან და აგრეთვე შესაძლებელი გახდება უფრო გამტკიცებული საფრანგეთის ვალუტაზე გადასვლა.

ფრანგების მოქმედება რურში.

მოსკოვი, 15 იანვ. საფრანგეთის გენერალმა დეგუტმა მიიღო ბრძანება ოკუპაცია უყოს რურის მთელ ოლქს, ბოხუმის და გელზენკირხენით დორტმუნდამდე.

რურის მრეწველთა თათბირი.

მოსკოვი, 15 იანვ. საფრანგეთის ჯარების სარდალმა დიუსელდორფში უბრძანა ადგილობრივ ქალაქის მორიგეს, რათა მან მოიწვიოს გერმანიის ნახშირის და რკინის გზის მრეწველობის ცნობილ წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიდაც უნდა დაესწრონ აგრეთვე სტინესი, კრუპი, ტისენი და კირდორფი. მოურავმა უპასუხა, რომ მას არ ძალუძს ასეთი თათბირის მოწვევა. ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე გერმანიის მრეწველობის წარმომადგენელნი არ დაესწრნენ.

ფრანგების განზრახვანი

მოსკოვი, 15 იანვ. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ესსენის კორესპონდენტი იუწყება, რომ საფრანგეთის ხელისუფლება არწმუნებს მელითონეთა პროფკავშირის ხელმძღვანელებს იმაში, რომ ფრანგები მუშებისათვის შექმნიან შრომის უკეთეს პირობებს, ვიდრე სტინესი და კრუპი. მელითონეთა კავშირმა გადაჭრით უარი სთქვა ასეთი ხასიათის ყოველგვარ მოლაპარაკებაზე.

საფრანგეთის გეგმები.

მოსკოვი, 15 იანვ. „მატინი“ იტყობინება, რომ შემუშავებულ საერთო გეგმის მიხედვით 14 იანვარს უნდა მომხდარიყო ბოხუმის ოკუპაცია.

გენერალ დეგუტის განცხადება.

მოსკოვი, 15 ივნ. ესსენიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, გენერალმა დეგუტმა განაცხადა, რომ რურის ოლქში სამხედრო მოქმედება დროებით დამთავრებულია. ახალი სამხედრო ზომები იქნება მიღებული მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გერმანელები წინააღმდეგობას გაუწევენ საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლების განკარგულებებს. მცხოვრებლებისადმი გამოშვებულ მოწოდებაში დეგუტი ემუქრება მუშებს ძლიერი ზომებით იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება გაფიცვებს ან პასიურ წინააღმდეგობას.

ნახშირის მოწოდება.

მოსკოვი, 15 იანვ. როიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ესსენში მოხდა საფრანგეთის და გერმანიის ნახშირის კომისიების ერთად სხდომა. გერმანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 15 იანვრიდან განაახლებენ ნახშირის მიწოდებას საფრანგეთ-გერმანიის კომისიის კონტროლის ქვეშ.

დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს.

მანჩესტერი. 15 იანვარი. ლონდონის [illegible] ცნობებით გერმანიას არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ რამე პოზიტიურ მოქმედებას ინგლისი მოახდენს გერმანიის ცნობილ პროტესტზე რურის ოლქის სამხედრო ოკუპაციის გამო, რადგან ინგლისის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს [illegible] მომავალში.

ბოხუმის დაკავება.

მანჩესტერი. 15 იანვარი. ესსენიდან იტყობინებიან საფრანგეთის ჯარების მიერ ბოხუმის ნაწილობრივ დაკავების შესახებ.

შეტაკება მცხოვრებლებთან.

მანჩესტერი. 15 იანვარი. ბოხუმიდან მიღებული ცნობებით ესსენში მოხდა შეტაკება მცხოვრებლებსა და ოკუპანტებს შორის.

არჩევნები თბილისის საბჭოში

არჩეულნი არიან:

არჩეულნი არიან მე-2 რაიონში:

ხის დამმუშავებელნი

სახელოსნო წარმოებათა ამხ. ზინოვიევის და მისი ჩოდრიშვილი. ფედოროვა, მიქელაძე არჩილ, რეინბერგი აბრამი, სალდაძე შალვა (კომუნისტები).

კანდიდატები: დიმიტრიშვილი სოლომონ (კომ.), ბოგდანოვი ანტონ (უპარტიო).

დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშ.

მელიძე პავლე (ამიერკ. კომ. წ)

კვების კავშირი

რევია ერმალოზ (კომკ.), ამილახვარი რიკი (უპარტიო), გავრიშ ევგენი (ბოლ. კომკ. წ)

კანდ.: სიჭუ (უპარტიო)

ელ. ტრიკებში

სირგვეძე მიხეილ (კომ.), გრიგორიან კარო (კომ.).

მთლიანი კოოპერატივი, აძერბეიჯანის კავშირი და ამიერ-კავკასიის კავშირი

ერისთავი (კომ.), ტკოროვი სტეფანე (კომ.), მზარეულიშვილი (კომ.).

კანდიდატები: ძაგანია ბიძინ (კომუნისტი).

მე-3 რაიონი.

ქალაქის მილიცია, მაკარონის ფაბრიკა, საქარხნო კომიტეტი № 11 სხვა და სხვა კერძო პურის მცხობელთა.

ხაცკევიჩ ხარიტონ, იგნატოვი ამაზასპ, გრიგორიანი ამაიაკ, კურდღელიშვილი (კომუნისტები).

მეაბანოები.

ბაგიროვი ნაგი, იუსუფოვი ალეკპერ, ბოუნიატოვი სტეფანე (კომუნისტები).

კანდიდატები: არზუმანოვა მარიამ, ჩიქურია, მარკაროვ მიქაელ (უპარტიო).

ქალაქის სამეურნეო არამიანცის № 1.

გოგიბერიძე, ბოლოტინი, ამირაგოვი ილლაზოვი (კომუნისტები)

კანდიდატები: ჯაფარიძე ივანე, ფოსხიშვილი (უპარტიო).

მღებავთა არტელი, ამბალი.

სოლოვაშვილი, ბეგიაშვილი, ელიკაშვილი მამედ ალი ზადე (კომუნისტები) სამარ ისა ოღლი (უპარტიო).

მუსულმანი მუშა ქალები

[illegible] (კომ.), ალიბეგიროვა სალტანეთ (უპარ.), სადიკოვა სიმა (უპარტიო).

კანდიდატები: რუბაბატ აგა ზადე (უპარტიო), გულიევა გულჩირა (უპარტიო).

მე-4 რაიონი.

ქალაქის აღმასკომი, ცეცხლის მქრობელი რაზმი და ელექტრიკები მე 4 რაიონის.

დუმბაძე ლადო, კიკნაძე ნიკო, გიიდენ ივან, გრეკოვი (კომუნისტები), ღლონტი თეო (მემარც. ფედ.).

რაც შეეხება საბჭოს პარტიულ შემადგენლობას, სიამოვნებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქ. თბილისის მშრომელებმა არჩევდნენ რა საბჭოში კომუნისტებს, მკაფიოდ გამოხატეს თავისი რწმენა კომპარტიისადმი, როგორც მშრომელთა ინტერესების ნამდვილ დამცველისადმი. კომუნისტები შეადგენენ 87,8 პროც., ხოლო უპარტიოთა—7,3 პროც. და მემარცხენე სოც. ფედ. 2,8 პროც.

ინტერესს მოკლებული არ არის ცნობა პარტიულ სტაჟის შესახებ კომუნისტების მთელი რიცხვიდან ერთი წლის სტაჟით იყო 0,3 პროც., 1—2 წლის—18,9 პროც., 3—5 წლ.—55,6 პროც. 6—10 წ.—8,8 პროც., ხოლო 10 წლის ზევით 14,5 პროც.

დამახასიათებელია აგრეთვე ცნობები ეროვნებათა შესახებ.

საბჭოს უმრავლესობას შეადგენდენ ქართველები, რომელთა რიცხვი უდრიდა 43,5 პროც, შემდეგ მოდიან რუსები 29 პროც., სომხები—17,4 პროც. თათრები—3,2 პროც. ებრაელები—2,4 პროც, დანარჩენი ეროვნებების წარმომადგენლები—6,1 პროცენტი.

საერთოთ საბჭოს შემადგენლობა სისწორით იყო გამოხატული და თუ შეიძლება რაიმე ცვლილების შეტანა, ეს შეეხება ქალთა პროცენტის გადიდებას, ვინაიდან ეჭვს გარეშეა რომ ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობაში არა მარტო მუშა-ქალების, არამედ დიასახლის მუშების ცოლების ჩაბმის შესახებ.

თბილისის მეორე საბჭოს შემადგენლობა

საბჭოს ხელახალ არჩევის მომენტში საჭირო იყო პირველ მიერ ცნობები საბჭოს და ქალ. აღმასკომის შემადგენლობის და მის მიერ შესრულებულ მუშაობის შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ცნობები არ ყოფილა დამზადებული და მხოლოდ საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ ქალაქის სტატისტიკურ განყოფილებამ შეკრიფა ცნობები საბჭოს შემადგენლობის, საბჭოს და აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ.

ქ თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების მეორე საბჭო შესდგებოდა 533 წევრისაგან

მიღებული ცნობები გვიხატავენ ფრიად სასიამოვნო სურათს.

საბჭოს შემადგენლობის დიდი უმრავლესობა 97,1 პროც. იყო წერა-კითხვის მცოდნე, ხოლო უწიგნოთა რიცხვი 32-ჯერ ნაკლები იყო ე. ი. 2,9 პროც.

საბჭო იყო მშრომელთა ფართო მასების ნამდვილი წარმომადგენელი. რასაც ამტკიცებს ის, რომ წერა-კითხვის მცოდნეთა ნახევარზე მეტი, სახელდობრ 61,6 პროც. უმაღლესი განათლებით იყო, დაახლოებით 1 მესამედი—28,9 პროც., საშუალოთი და მხოლოდ 6,6 პროც. დაბალი განათლებით. ეს კიდევ მეტად მტკიცდება იმით, რომ ფიზიკურ შრომით თავის მარჩენალთა რიცხვი საბჭოში უდრიდა 65,2 პროც, ხოლო ინტელიგენტთა—39,5 პროც. რაც შეეხება წევრთა რიცხვის განაწილებას სქესის მიხედვით, სურათი ასეთია: მამაკაცები—91,8 პროც., ქალები—8,2 პროც., ე. ი. 11-ჯერ ნაკლები ვიდრე მამაკაცები

თბილისის სამაზრო აღმასკომი

შინა მმართველობის განყოფილება.

განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავის მუშაობის დროს, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, ბანდიტიზმთან ბრძოლას, სახალხო განათლებას, ღარიბ გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, იმ კონფლიქტების მოწესრიგებას, რომელსაც ადგილი ქონდა მიწის რეფორმის გატარების დროს, დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენას, სასურსათო გადასახადის თავის დროზე აკრეფას და დეზერტირობასთან ბრძოლას.

ტეხნიკური მხრივ განყოფილების მუშაობა სათანადო დონეზე სდგას საჭიროა აღინიშნოს, რომ საკანცელარიო მიწერ-მოწერა 24 საათის განმავლობაში სწარმოებდა.

1922 წ. 1 ივნისიდან 20 დეკემბრამდე პლენუმის სხდომა გაიმართა 8 ჯერ, რომელზედაც განხილულ იქნა 41 საკითხი. პრეზიდიუმმა კი 58 სხდომაზე განიხილა 427 საკითხი.

პლენუმმა და პრეზიდიუმმა გადასწყვიტეს ყველა სერიოზული საკითხები მაზრის ცხოვრებთან დაკავშირებით, ისე მიზანშეწონილად, რომ არც ერთი დადგენილება არ ყოფილა გასაჩივრებული.

შინა მმართველობის განყოფილება ხელმძღვანელობას უწევს ყველა სათემო აღმასკომებს და სამაზრო მილიციას, რაც შემდეგში გამოიხატება: თითქმის ყველა დადგენილებანი, დეკრეტები და ცირკულიარული განკარგულებანი და აგრეთვე სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებანი თავის დროზე იგზავნება სათემო აღმასკომებში. გარდა ამისა სათემო აღმასკომებს სისტემატიურად ეძლევა ინსტრუქციები მათ მუშაობაში შენიშნულ დეფექტებს თავიდან ასაცილებლად. თითქმის ყველა სათემო აღმასკომებში მუშაობა სათანადო სიმაღლეზე სდგას, ყველგან კვირაში სისტემატიურად იმართება პრეზიდიუმის სხდომები, რომელზედაც იხილება სამაზრო აღმასკომის დადგენილებები და შემდეგ ხდება მათი ცხოვრებაში გატარება.

პარტკომისა და პოლიტბიუროს შორის ურთიერთობა საუკეთესოა და მუშაობა სრული შეთანხმებით სწარმოებს.

ყველა სამუშაოები გზების შესაკეთებლად სწარმოებს ადგილობრივ საშუალებებით.

სამაზრო მილიცია მატერიალურის მხრივ 1922 წ. 1 ოქტომბრამდე ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, 1 ოქტომბრიდან მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. მაგრამ, როგორც წინად ისე ამ ჟამადაც მილიცია წარჩინებულად მუშაობს. მან გამოიჩინა მაქსიმუმი ენერგია ბანდიტიზმთან ბრძოლაში და დღეს მაზრაში ბანდიტიზმს ადგილი აღარ აქვს.

გერმანიის ამბები

დემონსტრაცია გერმანიაში.

მოსკოვი. 15 იანვარი. ბერლინიდან იტყობინებიან: პოლიციის პრეზიდენტმა სოციალ დემოკრატმა რიხცერმა აკრძალა დემონსტრაციები ლიუსტგარტენში, ემყარება რა ქვეყნის შინაურ მეტად ნერვიულ მდგომარეობას. ბურჟუაზიულ პარტიებს ნება დართო გამართონ დემონსტრაციები მხოლოდ დახურულ კარებში. მრავალრიცხოვან მიტინგებზე კომუნისტებმა გადასწყვიტეს თავი შეიკავონ 14 იანვარს გამართულ პატრიოტულ მანიფესტაციაში მონაწილეობისაგან და აგრეთვე თავიანთ დემონსტრაციების გამართვისაგან.

საფრანგეთის კომუნისტების დაპატიმრების გამო.

მოსკოვი, 15 იანვარი. გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც სიმპატიებს გამოხატავს საფრანგეთის კომუნისტებისადმი. პლენუმმა მიმართა გერმანიის პროლეტარიატს მოწოდებით, რომელშიაც იგი მოითხოვს მუშათა მთავრობის შედგენას, რეალურ ღირებულებათა და უცხოეთის კაპიტალისტების მიერ გერმანიის ბანკებში შენახულ თანხების ხელში ჩაგდებას.

გერმანიის პრემიერ მინისტრების კონფერენცია.

მოსკოვი. 15 იანვარი. გერმანიის რესპუბლიკის შემადგენელ სახელმწიფოთა პრემიერ მინისტრების კონფერენციამ დაადგინა ერთსულოვნად დახმარება გაუწიონ საერთო—გერმანიის მთავრობას.

მოწოდება მუშებისადმი.

მოსკოვი. 15 იანვარი. რურის აუზის სამთამადნო მუშების გაერთიანებული კავშირი პროტესტს აცხადებს უფლებების დარღვევის წინააღმდეგ და მოუწოდებს მუშებს გაუფრთხილდნენ ყოველგვარ პროვოკაციებს.

მიუნხენის ფაშისტები.

მოსკოვი 15 იანვ. მიუნხენის ფაშისტების მეთაური გამოვიდა დემონსტრაციაზე სიტყვით, რომელიც მიმართული იყო არა საფრანგეთის, არამედ გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ. ის მოითხოვდა „ნოემბრის მოღალატე მომქმედთა"—თავიდან მოშორებას. მუშა ორატორები კონტრ-დემონსტრაციებზე ბრალს სდებდენ კუნოს, რომ მან განზრახ მოიწვია ფრანგები რურში.

გერმანიის რეიხსტაგის სხდომა

მანჩესტერი. 15 იანვარი. შაბათს გაიმართა რეიხსტაგის სხდომა, რომელსაც დაესწრო საზღვარგარეთული დიპლომატიური კორპუსი, მათ შორის ინგლისის და იტალიის ელჩები და საფრანგეთის პრესის წარმომადგენელი. კანცლერმა კუნომ თანამედროვე მდგომარეობის წინასწარი განმარტების შემდეგ განაცხადა, რომ პუანკარეს განმარტება საფრანგეთის პალატაში, საფრანგეთის ნამდვილი განზრახვების შესახებ, ვერავის ვერ აუხვევს თვალებს, რადგანაც მან უკვე შეიყვანა რურის ოლქში არმია და ზათარები. კანცლერი აღნიშნავდა, რომ თავისი ჯარების შეყვანით საფრანგეთმა დაარღვია ხელშეკრულება. „საქმე საფრანგეთის მოქმედებაში და კონტრიბუციაში კი არ არის, არამედ საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ ლიუდოვიკ XIV ის მიერ დაწყებულ და მისი მემკვიდრეების მიერ გაგრძელებულ კაცთმოძმეობის პოლიტიკა, გულისხმობს საფრანგეთის საზღვრების გაფართოებასო. ეს პოლიტიკა დიდი ხანია სცდილობს ჩამოგლიჯოს გერმანიას რეინლანდი" კანცლერმა შემდეგნაირად დაასრულა თავისი სიტყვა: „ჩვენი ღონისძიება ხვედრი არის უბედურება და ტანჯვა წამება ჩვენი მიზანია—უფლება, თავისუფლება და ზავი". მისი სიტყვა დაიფარა ტაშით და ყველა პარტიებმა მისცეს ხმა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას, მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ წინააღმდეგ მისცა ხმა. ბოლოს რეიხსტაგმა დაადგინა მხარი დაუჭიროს მთავრობას დღევანდელ მძიმე მომენტში.

კომინტერნის და პროფინტერნის მიმართვა

მოსკოვი, 15 იანვრის. ფრანგების მიერ რურის ოლქის ოკუპაციის გამო კომინტერნის აღმასკომმა და პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ გამოუშვეს მიმართვა მუშების, გლეხების და ჯარისკაცებისადმი, რომელშიაც მოუწოდებენ საფრანგეთის მუშებს და ჯარისკაცებს არ მისცენ ნება პარიზის მევახშეებს რომ ჟანდარმის ჩექმით გათელონ გერმანიის მუშები. გერმანიის მუშებს მმართებთ გაერთიანება ერთიან პროლეტარულ ფრონტზე და მხარი დაუჭირონ მუშათა მთავრობას და მისი საშუალებით მოაწყონ წინააღმდეგობა უცხოეთის კაპიტალისტებს. ყველა ქვეყნის მუშებს და სოფლის მშრომელებს მოუწოდებენ ბურჟუაზიასთან საერთო ბრძოლის, მასიური გამოსვლებისა და ბურჟუაზიულ მთავრობების წინააღმდეგ მასიური შეტევებისაკენ.

მოსკოვი. 15 იანვ კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა და პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მიმართეს მეორე და 2 ½ ინტერნაციონალს [illegible] კავშირის გაერთიანებას შემდეგი მოწოდებით: ევროპაში საშიში მდგომარეობის გამო, რომელსაც შეუძლია თავს დაატყდეს მუშათა კლასს ჯერ არ გაგონილ უბედურებათ და მეორეს მხრივ თქვენი გადაწყვეტილების გამო ჰააგის კონგრესზე ომის საშიშროების შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვის შესახებ, ჩვენ წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ დაიწყოთ მოლაპარაკება გაერთიანებულ მოქმედების შესახებ ახალი ომის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ გთხოვთ დაუყონებლივ პასუხს ინფორმაციასთან ერთად მოსკოვში, გერმანიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის და საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციის საშუალებით.

ლოზანის კონფერენცია

ეროვნულ უმცირესობათა კომისიაში

მოსკოვი. 15 იანვარი. ეროვნულ უმცირესობათა კომისიაში მიღწეულია შეთანხმება პოლიტიკურ დამნაშავეთათვის ამნისტიის და აგრეთვე ქრისტიანების მიერ სამხედრო ბეგრის მოხდის საკითხში ამნისტია არ ვრცელდება ზოგიერთ ცალკე პირებზე, მათ შორის სულთანზე.

ლოზანის კონფერენციის ბედი.

მოსკოვი 15 იანვარი. მოკავშირენი ცდილობენ დაჩქარებით დაამთავრონ ლოზანის კონფერენცია იმ შემთხვევაშიც თუ მათ მოუხდათ დათმობაზე წასვლა.

ლონდონის გაზეთების ლოზანის კორესპონდენტები იუწყებიან, რომ 12 იანვრის დღემ კონფერენციისათვის სრულებით უშედეგოდ ჩაიარა.

ჰასან-ბეის დაბრუნება.

მოსკოვი. 15 იანვარი. ჰასან ბეი წერას დაბრუნდა ლოზანაში. გადმოგვცემენ რომ ჩამოიტანა ინსტრუქციები, რომელნიც ავალებენ ოსმალეთის დელეგაციას კომპრომისზე წასვლას

პარიზში ჩ ლა გამოვლენილნი.

ბერლინ. 15 იანვ. სომხეთის „დელეგაცია" ამიერიდან მეთაურობით გაემგზავრა ლოზანიდან.

კერზონის განზრახვანი.

პარიზი. 15 იან. კერზონის ამ კვირის ბოლოს მომავალ საზავო ხელშეკრულების ტექსტის თურქეთის დელეგაციასთვის ჩაბარების შემდეგ განზრახვა აქვს გაემგზავროს ლონდონში კერზონი ფიქრობს, რომ ერთი კვირა სავსებით საკმარისია ყველა დაბრკოლებათა დასაძლევად და კონფერენციის მუშაობის დასასრულებლად. ინგლისის დანარჩენ დელეგატები მოუცდიან საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას.

საკითხი მემელის შესახებ

მოსკოვი. 15 იანვარი. პრემიერმა სიკორსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობას არ აქვს განზრახული გამოვიდეს დამოუკიდებლად მემელში მომხდარ ამბებს გამო და დაუცდის დიდ სახელმწიფოების გამოსვლას.

აჯანყებული ჯარის ერტყმიან მემელს. ანტანტის წარმომადგენლებმა კოვნოში პროტესტი განაცხადეს ლიტვის მთავრობის მიერ პარტიზანულ მოძრაობისათვის დახმარების აღმოჩენის გამო.

ლიტვის პრემიერმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ლიტვის მთავრობა მემელის პარტიზანებისადმი იცავს მკაცრ ნეიტრალიტეტს. მემელში მიდის კრისისი.

— მემელში 5,000 ლიტვის რევოლუციონური ჯარის კაცის შეჭრის გამო, მოკავშირეების უმაღლესმა კომისარმა ქალაქში გამოაცხადა საალყო წესები. რკინის-გზის დამოკიდებულება მემელთან შეწყვეტილია.

პოლონეთის ამბები

ცვლილებები პოლონეთის მთავრობაში.

ბერლინ. მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და ვიტოსის და სკულსკის კაბინეტის ყოფილი ფინანსთა მინისტრი გრაბსკი დაინიშნა ფინანსთა მინისტრად. ვარშავის ყოფილი მინისტრი პონიატოვსკის და

თათბირი ესსენში

მანჩესტერი. 15 იანვ. შაბათს ესსენში მოეწყო თათბირი ინჟინრების საკონტროლო კომისიის წარმომადგენელთა და რურის ოლქის სამთამადნო მრეწველ წარმოებათა დირექტორებს შორის.

ეპისკოპოსის მოწოდება

მანჩესტერი. 15 იანვ. ბრესლავის არხიეპისკოპოსმა გამოაქვეყნა საპასტორო მოწოდება საგლოვიარო დღეში მონაწილეობის მიღების შესახებ, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გერმანიას თავს დაატყდა ისეთი სასტიკი უბედურება, რომელმაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ყველას თანაგრძნობა.

მემელში

ბერლინ. 15 იანვ ბერლინში ფიქრობენ, რომ საფრანგეთი მხარს დაუჭერს ლიტვის განზრახვას მემელის დაკავშირების შესახებ. პარიზის გაზეთები აღნიშნავენ, რომ სირცხვილია საფრანგეთი მემელის საკითხში ოპოზიციაში ჩადგეს. რადგან ეს შეურაცხყოფას მიაყენებდა ჩვენი მეგობრების პოლონეთის პატრიოტულ გრძნობას.

ბერლინ. 15 იანვ. კრეისერ „ბერლინ"-მა მიიღო ბრძანება გაემგზავროს მემელში. პოლკოვნიკი ფლუსოსი, რომელიც ამ ჟამად ვარშავაში იმყოფება, ელჩთა კონფერენციის მიერ დანიშნულია საფრანგეთის ჯარების მთავარსარდლად მემელში.

შეთანხმდენ.

ბერლინ. 15 იანვ. ესსენის მრეწველებმა საბოლოოდ გადასწყვიტეს თანამშრომლობა ინჟინრების საკონტროლო კომისიასთან და განაცხადეს, რომ ნახშირის მიწოდებას კონტრიბუციის ანგარიშში ისინი შეძლებისამებრ განაგრძობენ და როგორც „პტი-პარიზიენი" იტყობინება იმდენად კი გამოთქვეს, რომ მიწოდების საქმე კიდევ უფრო გაუმჯობესდება, თუ მოხერხდა მაღაროების შემოსავლის გადიდება, რაც შესაძლებელია რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებით.

მოსალოდნელი შეთანხმება.

რომი. 15 იანვ. იტყობინებიან, რომ მიღწეულია შეთანხმება გერმანიის მეწარმეებს და ინგლისის ფინანსისტებს შორის რურის ქარხნების შესახებ.

ანტანტა და გერმანია

სარეპარაციო კომისიის სხდომა

მოსკოვი, 15 იანვარი. 13 იანვრისათვის დანიშნული იყო სარეპარაციო კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესვათ საკითხი გერმანიის კაპიტალის საზღვარ-გარეთ გასვლის შესახებ და აგრეთვე საკითხი გერმანიის 1923 წლის გადასახადების შესატანად ვადის გადადების შესახებ.

საფრანგეთის კომპარტია და რურის ოკუპაცია

პროტესტები

მოსკოვი. 15 იანვარი. გაზ. „იუმანიტე"-მ გამოუშვა მოწოდება რურის ოლქის ოკუპაციის და საფრანგეთის კომუნისტების დაპატიმრების წინააღმდეგ.

საფრანგეთის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ ფრანგების ესსენში შესვლის წინ გამოუშვა პროტესტი ოკუპაციის წინააღმდეგ და მოუწოდებს ფრანგ სალდათებს გერმანიის პროლეტარიატისადმი სოლიდარობისაკენ.

14 იანვარს კომუნისტები პარიზის მახლობლად სენტ ანტუანში მართავენ საპროტესტო მიტინგს მილიტარიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიული მსოფლ-მხედველობა გასულ წელს

(ო. შპენგლერი, ვვედენსკი, ნოვგოროდცევი და სხ.)

სულ ორი კვირაა, რაც 1922 წელი. წელი სიხარულისა და მწუხარების, გამარჯვებისა და დამარცხების, ნგრევისა და შენების, მოსწყდა ამ ქვეყნის და წარსულის სავანეში გადაბარდა. რთულია გასული წლის შინაარსი: მსოფლიო სამეურნეო კრიზისი, პოლიტიკური მანევრები საბჭოთა რუსეთის მიმართ, სხვა და სხვა კონფერენციები მიმართული წინააღმდეგობათა დარეგულირებისა და კაპიტალიზმის გამოცოცხლებისაკენ, საბჭოთა რუსეთის შინაგანი სიმტკიცე და მისი საგარეო მდგომარეობის შედარებითი გაუმჯობესება, მსოფლიო რეაქციის ამოძრავება ფაშიზმის სახით და პარალელურად მასთან მუშათა კლასის თანდათანობითი განთავისუფლება რეფორმისტულ ილლიუზიებისაგან და მით მისი რევოლიუციონური ბრძოლა კომუნისტური ინტერნაციონალის მეოთხე კონგრესი და სხვა.—აი გასული წლისა ძირითადი მომენტები. ამ რიგად გასული წლის შინაარსს არსებითად ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პროცესი ახასიათებს: ფაშიზმის ამოძრავება და რევოლიუციონურ სულის კვეთების გაღრმავება პროლეტარულ მასებში. ეს ფაქტი კაპიტალიზმის ერთი უმთავრესი წინააღმდეგობის გამომჟღავნებაა; იმ წინააღმდეგობის, რომელიც ობიექტიურ ლოღიკის კანონების თანახმად აუცილებელ დაღუპვას უქადის მესამე წოდების წყობილებას. და აი სწორედ ამ მდგომარეობამ შესაფერისი გავლენა იქონია ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობაზე. ამ უკანასკნელის არსებითი დანიშნულება კაპიტალიზმის იდეურად და მორალურად განმტკიცებაში მდგომარეობს; და ამიტომაც გასულ წელს ოფიციალური ევროპის გონებრივ ცხოვრების ცენტრალური პუნქტი რელიგიის საკითხში მდგომარეობდა. რა ფორმებს ღებულობს რელიგიის საკითხი ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობაში? როგორი იყო ბურჟუაზიული ფილოსოფია გასულ წელს? აი საკითხები ჩვენი წერილის თემის არსებითი მომენტია.

გასულ წელს ისევ შპენგლერი გამოდის, როგორც ბურჟუაზიული ფილოსოფიის ცენტრალური ფიგურა. მან თავის „სენსაციური" წიგნით: „დასავლეთის დაღუპვა" შეიძინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოფიციალური ევროპის მოლოდინებულ საზოგადოებრივი აზრი. ეს წიგნი ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ეფექტური გარკვეული გამოცემაა. შეცდომაა იმის თქმა თითქოს შპენგლერი აღიარებდეს დასავლეთის კულტურის დაღუპვას. შპენგლერი ხაზს უსვამს მხოლოდ კრიზისს „ფაუსტური ეპოქის" და, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციაში არის გამოხატული. ის არ არის მთლიანი პესიმისტი. „მე მხოლოდ ცივილიზაციის პესიმისტი ვარ"—ამბობს ის. (ნ შპენგლერის ბროშურა „Пессимизм") მაგრამ ამ პესიმიზმის დაძლევად მას, როგორც უდიდეს **ნაციონალისტს და იმპერიალისტს** აქვს განსაზღვრული გზა. თუ როგორ აი ეს გზა—ამას დავინახავთ ქვევით, ხოლო აქ აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ თავის ისტორიულ ფილოსოფიის მიმდევრობის თანახმად, შეუძლებელია დავსახოთ შპენგლერი, როგორც **წინასწარმეტყველი** დასავლეთის კულტურის დაღუპვისა. ის ღიარებს ამ კულტურის **კრიზისს და არა მის დაღუპვას აუცილებლობას.**

რას წარმოადგენს შპენგლერის მსოფლ-მხედველობის ძირითადი პრინციპები? ის ჰქმნის ისტორიის ფილოსოფიის „ახალს" (?) სისტემას. შპენგლერი უარჰყოფს **ფილოსოფიას** ამ სიტყვის **მსოფლ-მხედველობის** შინაარსით. სადი აზრით მას ცენტრალური ამოცანა **ისტორიის სტრუქტურაა**. ამიტომ მან თავის მოძღვრების **მეთოდით ისტორიის მორფოლოგია** უწოდა.

„ჩვენი დამახასიათებელი საუკუნის თვისება დინამიზმია, ამიტომაც სამყაროს უპირველეს ყოვლისა **ისტორიაა**. სამყაროს იგივე შეცნობა არის შეცნობა დინამიური. სამყარო, როგორც **ბუნება—სტატიურია**. ბუნება—სივრცე, ისტორია—დრო. ბუნების სახით სამყარო მაშინ წარმოსდგება ჩვენს წინ, როცა ვიხილავთ მას **მიზეზობრივი თვალსაზრისით**. სამყაროს გაგების თვალთახედვისით განხილვა არის შეცნობა მისი, როგორც ისტორიის" (რადგანაც ხელთ არა მაქვს **შპენგლერის** წიგნი ვსარგებლობ მისი რუსი მიმდევარის **ნ. ბერდიაევის** სტატიით: „Предсмертные мысли фауста" сборник О. Шпенглер и закат европы" გვ. 60. ხაზი ყველგან ჩემია—შ. დ.) ამ რიგად ბუნებაში მეფობს სტატიკა, ხოლო ისტორიაში კი დინამიკა. განგება (судьба) შპენგლერის აზრით, ისტორიულ პროცესის ლოღიკური ფაქტორია, ძირითადი კატეგორიაა მსოფლიო მოვლენათა გაშლის. მიზეზობრიობის პრინციპი, რომელიც მეცნიერების უდიდესი მიღწევაა, უპირდაპირდება განგება, რომელიც როგორც აღვნიშნეთ განსაზღვრავს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას.

შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ის ლოღიკური და ფაქტიური შეცდომა, რასაც სჩადის შპენგლერი, როდესაც სტატიურობა ბუნების გამოჰყავს მიზეზობრივ პრინციპიდან. მიზეზობრივობის ელემენტარული ლოღიკა კატეგორიულად უარსაყოფს საკითხის ამ გვარ გადაჭრას. მიზეზობრივი პრინციპი მოვლენაში ჰგულისხმობს ამ უკანასკნელს, როგორც **პროცესს, როგორც მოძრაობას**. მიზეზის და შედეგის სინთეზი ჰქმნის მოვლენის **დინამიურ მთლიანობას**; ხოლო ეს მთლიანობა აქტუალურ სახეს ღებულობს **განვითარების პროცესში**. ამ მთლიანობაში შედეგი თავდაპირველად იმყოფება, როგორც პოტენცია, ხოლო განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეს პოტენციალური მოვლენა ღებულობს აქტუალურ სახეს და მით მიზეზისაგან მკაფიოდ ჩნდება მისი შედეგი. ეს ხდება მაშინ—ვ მეორეს—როცა მოვლენის განვითარება მიაღწევს თავის **განსაზღვრულ საფეხურს. მიზეზობრიობის გარეშე მოვლენათა დინამიური გაშლაა, ხოლო სტატიკის განკერძოებული რიგებ**; მიზეზობრიობა ლოღიკურად განვითარებაში ჩნდება, ხოლო სტატიკა ლოღიკურად მიზეზობრიობის პრინციპიალური უარისმყოფელია. **ბუნება** კანონშესაბამობითი **პროცესია**, ხოლო ეს კანონშესაბამობა—მიზეზობრივი ხასიათის; ასე იმ სტატიკის მიზეზობრიობისაგან გამოყვანა იმდენათ შეაძლოა რამდენათ ყინვისაგან ცეცხლის.

შპენგლერმა **დინამიკა განიხილა** დაუკავშირო. მაგრამ ეს დინამიკა რადი ჰგულისხმობს აუცილებლად განვითარებას. შპენგლერი უცქერის ისტორიას, როგორც **კალეიდოსკოპურ პროცესს**—და ამიტომაც **დინამიკა** მის შემეცნებაში არის **მოძრაობა და არა განვითარება**: რკალისებური პროცესი განვითარებისა და პროგრესის უარისყოფაა. ეს მდგომარეობა ერთიანათ ძალის ისტორიზმს ყოველგვარ ნიადაგს, ასე რომ შპენგლერმა უკანასკნელს ანგარიშში ისტორიაც უარჰყო. ამ ფაქტს აღიარებს რუსი შპენგლერისტი **ბერდიაევიც**; ის ამბობს; „მე ვფიქრობ, რომ შპენგლერისათვის არა რსებობს ისტორია და ამიტომაც მისთვის შეუძლებელია ისტორიის ფილოსოფია; განგების, როგორც ძირითადი ფაქტორის, მიღებით ისტორიულ მოვლენათა გაშლაში—შპენგლერმა თავის მოძღვრებას ფატალისტური ხასიათი მისცა. ფატალიზმი მის მოძღვრების ალფა და ომეგა შეიქნა.

ასეთია—რასაკვირველია ძლიერ სქემატიურად—შპენგლერის აზროვნება, მისი მოძღვრების უსისხლო ჩონჩხი. ამ ძირითად პრინციპების მიხედვით შესაძლოა გავიგოთ თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი დასავლეთ ევროპის კულტურის კრიზისი.

ყოველგვარ კულტურას შპენგლერი საფუძვლად უდებს **რელიგიას**. „ყოველგვარ კულტურულ ფსიქიურ ტიპის შემოქმედებითი მოღვაწეობა გაჟღენთილია რელიგიური სულით—ამბობს ის, ყოველგვარი მეცნიერება ისე—სწორეც როგორიც არის მათემატიკა და მექანიკა—**ჰგულისხმობს** როგორც თავის საფუძველს და წყაროს, **რელიგიას**. დასავლეთ ევროპის მექანიკა არის ქრისტიანულ დოგმატების ანარეკლი. თანამედროვე ბუნების მეტყველება ჩვენი კულტურის ფუნქციაა. ის არა თუ ჰგულისხმობს რელიგიას, როგორც თავის წყაროს, არამედ კიდევ სავსებით არის მისგან დამოკიდებული და მისით განსაზღვრული. **რელიგიის გარეშე არ არსებობს კულტურა"** (ციტატას ვღებულობ **ა. დებორინის** სტატიიდან: „Гибель Европы или торжество империализма?" ჟურნალი „Подзнаменем марксизма" № 1).

ყოველგვარ ცნობიერებაში შპენგლერი არჩევს სულს და **უცხოს** ამ სულთან, ე. ი. **სამყაროს**. „ყოველ არსებას აქვს თავისი სული და მაშ სადამე თავისი უცხო ამ სულისა. ეს იმას ნიშნავს ყველას თავის სამყარო აქვს. შპენგლერი პირდაპირ ლაპარაკობს: „სამყარო იმდენია, რამდენიც ადამიანი" (Степун: О. Шпенглер и закат Европы" გვ 10). ამ სამყაროთა შორის არავითარი კავშირი არ არსებობს. საერთო ინტერესს ისინი მოკლებული არიან; ამიტომაც ბუნებრივია მათი განკერძოებული არსებობა. არ არსებობს რაიმე საერთო, საკაცობრიო. თავისი რელატივიზმი შპენგლერს უკიდურესობამდის დაჰყავს: „სახელმწიფოებრივი იდეა ძველი დროისა და თანამედროვე ხანის სხვა და სხვაა, ამიტომ შეუძლებელია არსებობდეს სახელმწიფოს, როგორც ასეთის ამოცანები" (Букшпан: „не преодоленный рационализм" გვ. 75).

თანამედროვე ხანა ფაუსტის ცხოვრების პერიოდია. „ფაუსტის სული არსებობს ცხოვრების ყოველივე დარგში; კონტრაპუნქტული აბსოლიუტური მუსიკა, ახალი მხატვრობა უსაზღვრო პერსპექტივებით და უწყვეტი ნიუანსებით, მეტ გეომეტრია, განყენებული მათემატიკური მექანიკა, რომელიც იტევს ფიზიკასა და ქიმიას, ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ იდეათა ტრანსცენდენტობა—ყველა ესენი გაჟღენთილია ერთსა და იმავე ფაუსტისური სულით". (**სტეპუნის** სტატია... გვ. 48), ტეხნიკის თავბრუდამხვევი განვითარება, საერთაშორისო დამოკიდებულებათა დახლართვა და მით საგარეო ცხოვრების გართულება, ტეხნიკური დაძლევა დროისა და სივრცის, და გვ. 16.—აი დამახასიათებელი თვისებები ფაუსტური კულტურისა, რომელიც წარმოსდგა შპენგლერის თქმით „მაგიურ" ე. ი. არაბულ კულტურისაგან, რისი წინა მორბედი თავის მხრივ იყო ანტიური ე. ი. ბერძენთა და რომაელთა კულტურა.

„განსაზღვრულ ლანდშაფტების ბუდეებში—ლაპარაკობს შპენგლერი, ხმელთა შუა ზღვის და ნილოსის ნაპირებზე, აზიის მრავალფეროვან მიდამოებში და საშუალო ევროპის თვალუწვდენელ ველებში იბადებიან უდიდეს კულტურათა სულები. დაიბადა თუ არა ყოველი მათგანი ამოვა თავის გაზაფხულს და თავის ზაფხულს, ჩადის თავის შემოდგომასთან და კვდება თავის ზამთართან. ცხოვრების ამ საბედისწერო რკალს შესაბამება ასეთივე საბედისწერო რკალი თავის შინაგანი ცხოვრებისას. ყოველი ეპოქის სული იწყებს თავის რკალისებურ მოძრაობას სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ, კულტურიდან ცივილიზაციისაკენ". ამ რიგად შპენგლერის აზრით კულტურისა და ცივილიზაციის შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ამ „წინააღმდეგობის" აღმოჩენა შპენგლერის „ფილოსოფიის" ძირითადი მომენტია. კულტურა კვდება, რადგანაც ის გადავიდა ცივილიზაციაში; ცივილიზაცია კულტურის დასასრულის დასაწყისია, ის მისი აგონიაა. რა არის კულტურა? ამის შესახებ **თ. სტეპუნი** შპენგლერის სიტყვით ლაპარაკობს შემდეგს: „კულტურა—ეს ძლიერი შემოქმედება გამჭვრეტი სულისა—არის დაბადება მითის, როგორც **ღვთაებრიობის შეგრძნობის ახალი გამოხატულების**. („О Шпенглер и закат Европы" გვ. 12) აქაც თითქმის განმეორებაა იმისა, რაც ზემოთ იყო ნათქვამი: კულტურა მისტიურია, მაგიურია, მოკლედ — კულტურა რელიგიურია. და აი სწორედ ეს რელიგიური (!) კულტურა კვდება, რადგანაც ის გადავიდა ცივილიზაციაში.

დასავლეთ ევროპაში დღეს მეფობს ცივილიზაცია. „ფაუსტი თავის მსვლელობაში გადადის რელიგიურ კულტურიდან **არარელიგიურ** ცივილიზაციაში და აი აქ სრულდება და მოდის სავსებით ჰქრება ფაუსტის შემოქმედებითი მუშაობა, კვდება მისი მიზნები" (Бердяев. შემოხსენებული სტატია.. გვ. 56) ამ რიგად ჩვენ ვხედავთ, რომ კულტურა იმდენათ კვდება, რამდენათ ის **არარელიგიურ ცივილიზაციაში** გადადის. შპენგლერის აზრით, ცივილიზაცია ათეიზმის გამოხატულებაა. ცივილიზაციის დროს რელიგიური და მეტაფიზიკური ხასიათის კითხვები იცვლებიან ეთიკურ და პრაქტიკულ ხასიათის კითხვებით; ხელოვნებაში ხდება მონუმენტალურ ფორმათა დაშლა, ხშირი ცვლილება ჩვეულების, სტილის და სხვ.; პოლიტიკაში—სახალხო ორგანიზაციათა გადაქცევა პრაქტიკულად დაინტერესებულ მასებით; ცივილიზაციის დროს **მატერიალიზმი და კოსმოპოლიტიზმი**, გაბატონებულია **მხოლოდით ქალაქების ოფლებზე, აქტივისტურია მეოთხე წოდება**. „მითის სიკვდილი უწმუნოებაში, ცოცხალი შემოქმედების—მკვდარ მუშაობაში, კოსმიური გონების პრაქტიკულ გონიერებაში, ნაციის ინტერნაციონალში (?) ორგანიზმის „მექანიზმში"—აი შპენგლერის აზრით ცივილიზაციის დამახასიათებელი თვისებები.

ამ რიგად ეხლა ცხადი და ნათელი უნდა იყვეს ის გარემოება, რომ **შპენგლერი—ეს არის ბურჟუაზიულ იდეოლოგიის ქურუმი ხედავს კულტურის დაღუპვას მეოთხე წოდების ე. ი. პროლეტარიატის მოძრაობაში, მის მატერიალისტურ და ათეისტურ მსოფლმხედველობაში, რომელიც დღეს წარმოადგენს იდეურ რევანშს ბურჟუაზიულ ფილოსოფიისათვის.**

მსოფლიო მუშათა ამოძრავება, მათი პრაქტიკული პროტესტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ თავზარს უსხამს და მოსვენებას არ აძლევს ბურჟუაზიას. ამიტომაც ეს უკანასკნელი სულ იმას ცდილობს, რომ მორალურად მაინც დასცეს პროლეტარული მოძრაობა. შპენგლერი მსოფლიო ბურჟუაზიის სახელით აცხადებს, რომ მუშათა კლასის მიერ გამოცხადებული ბრძოლის აპარატზე მომავალი წარმოებელი კულტურის დაღუპვის, იმ კულტურის, რომლის სული და გული არის **მითი** და საზოგადოთ რელიგია, და რომლის მატარებელია **სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და მესამე წოდება**. მაგრამ შპენგლერი მაინც არ არის სავსებით სულით დაცემული. მას, როგორც გერმანელ ნაციონალისტს და იმპერიალისტს შესაძლებლად მიაჩნია ევროპის „ხსნა". ასეთს ხსნას ის ხედავს **პრუსიის იმპერიალიზმის გამარჯვებაში**. „მსოფლიოს მეფე—აცხადებს ის—გადასწყვეტს გერმანია". შპენგლერის ფილოსოფიის იმპერიალისტურ ბუნებას არ მალავს მისი რუსი მიმდევარი **ნ. ბერდიაევი**: „შპენგლერი გერმანელი პატრიოტია, გერმანელი ნაციონალისტი და იმპერიალისტი. ის მკაფიოთ სჩანს მის წიგნში: „Preussentum und socialismus" ის მისწრაფების გერმანიის მსოფლიო ძლიერებისაკენ; მას სწამს ეს ძლიერება აღდგება თუ გვიან განხორციელდება" (გვ. 68). ამ რიგად იდეა გერმანიის ძლიერებისა ფრთას შეასხამს მით ევროპიულ კულტურას „გადაარჩენს" დაღუპვას.

ასეთია შპენგლერის „ფილოსოფია" ასეთია მისი წინასწარმეტყველება.

მისი აზრით რელიგიის გარეშე კულტურის გაჩენა შეუძლებელია; მაშასადამე იქ სადაც არ არსებობს რელიგია—არ შეიძლება არსებობდეს მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია; მუშათა მოძრაობა სპობს რელიგიას, და მაშასადამე ღუპავს კულტურას. ამით აიხსნება ის „მეცნიერული" ვარჯიშობა ბურჟუაზიული იდეოლოგების, რომლის დროსაც ისინი აყენებენ ღმერთის გაგებას და ფიზიკის თუ ლოღიკის მიზეზობრივ პრინციპს, რომელმაც ბუნებიდან და ისტორიიდან საბოლოოდ განდევნა თეოლოგიის აზროვნება. მუშათა მოძრაობის გათანაბრება „კულტურის" დაღუპვასთან—ნაცადი, მაგრამ მეტის მეტათ დაბრუნებული ხერხია კაპიტალისტურ იდეოლოგიის.

როგორც აღვნიშნეთ გასული წელი ხასიათდება ბურჟუაზიის მხრივ რელიგიური საკითხების გაცხოველებით. რელიგია ერთი საუკეთესო საშუალებაა მასების ცნობიერების ჩასაკლავად, რევოლიუციონური ენერგიის დაქსაქსვის, კლასთა ბრძოლის მოდუნების, კლასობრივი შეგნების დაჩრდილების და კაპიტალისტურ წყობილების იდეური განმტკიცების. ეს კარგად იცის ბურჟუაზიამ. როდესაც ეს უკანასკნელი პირისპირ დადგა წინააღმდეგობებით გაჩხირულ კაპიტალიზმის წინაშე—რელიგიის „მეცნიერული" მტკიცება და მისი ცხოველ მყოფელობა ადამიანთა სრულქმნისათვის—ცენტრალური მომენტი გახდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიისა. თუ წინათ რელიგიის არა მეცნიერულ ხასიათს—მეცნიერების [illegible] სთვლიდნენ—დღეს ის აქსიომა თითქოს პრობლემათ იქცა. აქ რასაკვირველია არა ბუნებრივი პროცესია. **უეჭველი ანტიმატერიალისტური ფილოსოფია პირდაპირის გზით მიიმართება თეოლოგიისაკენ**; თეოლოგია ლოღიკური დასკვნა ყოველი იდეალისტური სისტემის *) მაგრამ წინ—მსოფლიო ომამდე თეოლოგიას აშკარად არ აღიარებდენ, დღეს კი აშკარათ ღვთისა და სარწმუნოების სახელით ებრძვიან რევოლიუციას, პროგრესს და კულტურას.

დღეს პირველი დროშა ღვთისა და რელიგიის დაცვათ, როგორც აღვნიშნეთ **ო. შპენგლერმა** აღმართა. რელიგია ფუნდამენტალურ მეცნიერებათ გამოცხადდა. მას დაუმორჩილეს შემეცნების ყოველივე დარგები: ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია. ამას სჩადის არა მარტო შპენგლერი! რელიგიურ საკითხთა ვარჯიშობაში თავი იჩინა აგრეთვე რუსეთის **ემიგრანტულმა ბურჟუაზიამ.**

რეაქციონერი **მეტაფიზიკოსი** „Русская мысль"-ის ფურცლებზე, ძლიერ გულიანად „ამტკიცებს", რომ „ხალხს დღეს რელიგიის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. „ჩვენ შეგვიძლია ვიდაოთ რელიგიის მნიშვნელობაზე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში, ჩვენ შეგვიძლია ეჭვიც შევიტანოთ ღვთის არსებობაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ რელიგიის გარეშე ხალხის ცხოვრება წარმოუდგენელია". ხალხიურ სტიქიის, რომელიც მიმართულია მსოფლიო მყვლეფელობის წინააღმდეგ და მით „განადგურებას" უქადის ყოველგვარ ღირებულებათ—ჩაჰკლავს რელიგია. ასეთია ამ ბნელი ფიგურის—მეტაფიზიკოსის აზრი. ამასვე იმეორებს მეორე რეაქციონური ბურჟუაზიის წარმომადგენელი პროფესორი **ნოვგოროდცევი**. მისი, ნოვგოროდცევის იდეალი რუსული ეკლესიის აღდგენაა. „დასავლეთიდან მოტანილ მარქსისტულ ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსული ეკლესია თანდათანობით ძლიერდებოდა"—„რუსული სულისათვის უცხოა მარქსიზმი—განაგრძობს ის—მას მისტიციზმი და რელიგიურობა ახასიათებს" უნდა განხორციელდეს ძველი სლავიანოფილური ლოზუნგება. და მაშინ ეკლესიაც აღსდგება, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუციის დამარცხება შეუძლებელია.

ეკლესიისა და ჯვრის სახელით—რევოლიუციის წინააღმდეგ—აი ნოვგოროდცევის და ძმათა მათთა დევიზი. ასეთია ემიგრანტული ბურჟუაზიის სულისკვეთება.

რუსეთიდან გაქცეულ ბურჟუაზიას არ ჩამორჩა აგრეთვე რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიული პროფესორ—ფილოსოფიურ წრეებში კარგად ცნობილი—**ვვედენსკი**. პეტროგრადის ფილოსოფიურ საზოგადოების ჟურნალში „Мысль"—ვვედენსკი სწერს: ათეიზმი უძლურია დღემდის წინაშე, „მას არ შეუძლია ერთი ფაქტის ჩვენებაც, რომელიც უარყოფდეს ღვთის არსებობას". („Мысль"—№ 2. 1922 г.) ვვედენსკი ებრძვის ათეისტურ მსოფლმხედველობას, აცხადებს მის უსუსურ და უძლურ მოძღვრებათ. ათეიზმის მეცნიერული შინაარსი არარაობას უდრის, ის ფაქტთა ლოღიკამ საბოლოოთ დაასამარა". ასეთია პროფესორ **ვვედენსკის** შეხედულება.

მისტიციზმი ფილოსოფიაში, სტატიკა ისტორიულ პროცესში, მაგია თეატრში, ფუტურიზმი პოეზიაში, ულტრა ინდივიდუალიზმი ეთიკაში, ოპორტუნისტული ანარქიზმი პოლიტიკაში—აი რით ხასიათდება ბურჟუაზიის იდეური სამყარო გასულ წელს. გასული წელი ჩაბარდა ისტორიას, ხოლო მომავალი სარევოლიუციო ბრძოლებისათვის ემზადება. მებრძოლი ფილოსოფიური მატერიალიზმით შეიარაღებული პროლეტარიატი ემზადება ამ იდეურს და პრაქტიკულ რევანშისათვის, რომელიც საბოლოოთ გამოიტანს კაპიტალიზმის სასიკვდილო განაჩენს.

შ. დუდუჩავა.

---

*) შევეცდები ამ დებულების დამტკიცებას ცალკე წერილში.—შ. დ.

ლოინსკის კაბინეტებში—ოსოვსკი დაინიშნა ვაჭრობის მინისტრად.

კომუნისტების დევნა პოლონეთში.

მოსკოვი. 15 იანვარი. კომუნისტური მუშაკებისთვის ვარშავის ტრიბუნალმა სამი წლის ციხე მიუსაჯა ამ კაცს მათ შორის სეიმის კომუნისტ-დეპუტატს კრულიკოვსკის, 2 ნახ. წლის ციხე მისჯილი აქვთ 5 კაცს და ორი წლის—2 კაცს.

გაფიცვა პოლონეთში.

მოსკოვი. 15 იან. პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტის მოწოდებით გაიფიცენ ლოდძის, პეტროკოვის და ზოგიერთ სხვა ქალაქების ფეიქრები.

სხვადასხვა ამბები

უნგრეთი და რუმინეთი.

მოსკოვი. 15 იანვარი. უნგრეთის მოსალოდნელ გამოსვლის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, რუმინეთის ხელისუფლება აწყობს სამოქალაქო თავდაცვას უნგრეთის საზღვრის განაპირა ადგილებში. პოლიცია სარგებლობს ამ ადგილებში გამოცხადებულ საგანგებო წესებით მუშების და პროფესიონალურ ორგანიზაციების შესავიწროებლად.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

შეფობა.

მოსკოვი. 12 იან. დონის მემაღაროებმა მიიღეს მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს დივიზიონის შეფობა. მემაღაროებმა დიდი ზეიმით გადასცეს დივიზიონს დროშა.

შკოლა

მოსკოვი. 12 იან. როსტოვის ოლქის ხუტორ „პოდკუშევკას" გლეხებმა დაადგინეს გაჰყიდონ 3 ეკლესიის გუმბათი და აღებული ფულით გახსნან შკოლა.

ეკლესიის წინაამდეგ.

მოსკოვი. 12 იან. მინსკის გუბერნიის სლუცკისოვის მაზრის გლეხები უარს ამბობენ ეკლესიის და მღვდლების შენახვაზე.

ნათესები.

მოსკოვი 12 იან. პენზის მხარეში 1922 წ ნათესების არე გადიდდა 25 პროცენტით ომამდე არსებულ ნათესებთან შედარებით.

პარტიული ცხოვრება

პარასკევს 19 იანვარს

ერთიან პარტიულ დღეს

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ერთიანი დღის წესრიგში დასვათ საკითხი **საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.** თეზისები გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის შესახებ

(ამიერ-კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ცაკის პირველი სესიის გამო)

1. ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი არსდება ამიერ კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სატახტო ქალაქში, ტფილისში.

2. ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში შედიან ავტონომიურ სექტორების უფლებით ს. კ. პ. ცენტრალური პარტიული სკოლა და კავკასიის ცალკე არმიის წითელ-არმიელთა უნივერსიტეტი. ქართული და სამხედრო პოლიტიკური სექტორები ემორჩილებიან სწავლების მხრივ უნივერსიტეტის გამგეობას, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში—თავიანთ უშუალო პატრონებს: საქ. კ. პარტიის ცეკას და კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ სამმართველოს.

მატერიალურ-სამეურნეო აპარატები, სასწავლო ნაწილები, წიგნთსაცავები, კაბინეტები და ცენტრალურ პარტიულ სკოლის და წითელ არმიელთა უნივერსიტეტის სხვა დამხმარე დაწესებულებები უნდა გამოყენებული იქნეს როგორც გზა ამიერ კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის გაფართოებისათვის. ცენტრალურ პარტიულ სკოლის და წითელ-არმიელთა უნივერსიტეტის ძალთა და საშუალებათა შეერთება შესაძლებლად გახდის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტადიის საგრძნობლად შემცირებას, დიდად გააუმჯობესებს ცენტრალურ პარტ. სკოლის და წითელ არმიელთა უნივერსიტეტის მდგომარეობას, გადააქცევს რა უკანასკნელებს მეორე საფეხურის სანიმუშო პარტიულ სკოლებად—ლაბორატორიად, რომელშიაც ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სალექტორო და ძირითად ფაკულტეტების სტუდენტები გაივლიან თავიანთ პრაქტიკულ სტაჟს პროპაგანდისტურ მუშაობის სფეროში.

3. ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი ამ პირობებში უნდა გაიხსნას შემდეგი შემადგენლობით:

ა) ს. კ. პ. ცენტრალური პარტიული სკოლა (ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის ქართული სექტორი) ერთ წლიანი კურსი, 150 სტუდენტის კომპლექტით, მე-2 საფეხურის საბჭოთა პარტიულ სკოლის პროგრამა.

ბ. კავკასიის ცალკე არმიის წითელ-არმიელთა უნივერსიტეტი (ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სამხედრო—პოლიტიკური სექტორი) ერთ წლიანი კურსი, 250 სტუდენტის კომპლექტით, მე 2 საფეხურის სამხედრო—პოლიტიკურ სკოლის პროგრამა.

გ. საზოგადო—პედაგოგიური ფაკულტეტის ორ-წლიანი კურსი, 100 სტუდენტის კომპლექტით, სვერდლოვის უნივერსიტეტის სალექტორო კურსის პროგრამა

დ. პარტიულ—საბჭოთა ფაკულტეტი, სამ-წლიანი კურსი, 200 სტუდენტის კომპლექტით, სვერდლოვის უნივერსიტეტის ძირითადი კურსის პროგრამა,

4. ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის პედაგოგიური და პარტიულ საბჭოთა ფაკულტეტს თანხებს აძლევს რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი, სამხედრო პოლიტიკური და ქართული სექტორები—ცალკე კავკასიის ლაშქრის პოლიტიკურ მართველობის და საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ კუთვნილებისამებრ. ხარჯები მატერიალურ სამეურნეო და სამოსწავლო აპარატების შესანახად განაწილდება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და ცალკე კავკასიის არმიის პოლიტიკურ მართველობის შორის პროპორციონალურათ უნივერსიტეტის სათანადო ნაწილების სტუდენტთა კომპლექტით.

5. სამხედრო და ქართულ სექტორების სტიპენდიების განაწილება სწარმოებს ცალკე კავკასიის არმიის პოლიტიკურ მართველობისა და საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ, რომელთა განკარგულებაში გადადიან უნივერსიტეტის სათანადო ნაწილების სტუდენტები კურსის დამთავრების შემდეგ.

6. ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის პედაგოგიურ და პარტიულ საბჭოთა ფაკულტეტების პროგრამები, სამოსწავლო გეგმები და მუშაობის მეთოდები ეწყობა და მუშავდება სვერდლოვის უნივერსიტეტის თანამოსახელე ფაკულტეტების მიხედვით. ამასთანავე ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის ყველა ნაწილების პროგრამებში და სამოსწავლო გეგმებში შესაფერი ადგილი ეძლევა კავკასიის და აღმოსავლეთის ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ადგილობრივ პირობების შესწავლას.

7. ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის ნაწილების გაფართოების რიგი:

ა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური პარტიული სკოლა, თავის მუშაობას მეორე საფეხურიდან განაგრძობს 1923 წლის 15 ივნ სამდე; მე 2 ე საფეხურის ახალი შედგენა მოხდება 15 ოქტომბერს; ცენტრალურ პარტიული სკოლის წლიური სალექტორო კურსი მთლიანად შედის ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-პედაგოგიურ ფაკულტეტში.

ბ. წითელ არმიელთა უნივერსიტეტი თავის პირველ გამოშვებას ამ თებერვალში, და შემდეგი შედგენა მოხდება 23 წლის მარტში.

გ ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ პედაგოგიური ფაკულტეტი გაიხსნება 1923 წლის 20 თებერვალს.

დ ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის პარტიული საბჭოთა ფაკულტეტი გაიხსნება 1923 წლის 15 ოქტომბერს.

8. ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის გამგეობა: რექტორს, მის თანაშემწეს და პასუხის მგებელ მდივანს ნიშნავს რუსეთის კომპარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი: სამხედრო პოლიტიკური სექტორის უფროსს ნიშნავს კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკური სამმართველო, ქართული სექტორის გამგეს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. გამგეობას ამტკიცებს ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი და ის პასუხის მგებელია უკანასკნელის წინაშე ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ყველა ნაწილებში პარტიული-პოლიტიკური-მარქსისტული-პედაგოგიური მუშაობის დაყენებისათვის.

9 ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს რეგულიარული კავშირი აქვს აზერბეიჯანის და სომხეთის ცენტრალურ პარტიულ სკოლებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის სექტორებს. (კორესპოდენტების მიწოდება, მეთოდიური ხელმძღვანელობა, სალექტორო ძალების პერიოდიული გაცვლა გამოცვლა, სამოსწავლო სახელმძღვანელოების და მოძრავი ბიბლიოთეკების მიწოდება და სხვა.

10. 1923–24 სამოსწავლო წლიდან ამიერ კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი ჩაირიცხება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებელთა ნორმალურ ქსელში.

ი ნოვიკოვი, ა ხუტურინი, გ. დევდარიანი, ნ. ჩაპლინი, ხოროჟინი.

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები

(ცენტრალური შემმოწმებელ კომისიის ცნობების მიხედვით)

ტფილისის ქალაქის ორგანიზაცია. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ოთხივე რაიონში გაწმენდის შემდეგ შემცირდა 585 კაცით, ან მისი შემადგენლობის 31,0 პროცენტით.

გამორიცხულთა განაწილება პარტიიდან გასვლის მიზეზების მიხედვით ასეთია: მექანიკურად გამორიცხულია (გაწმენდის ინსტრუქციის მე 10 მუხლის თანახმად)—162; გამორიცხულია—404 კ.; და დროებით გამორიცხულია—19; ამრიგად მექანიკურად გამორიცხულთა რიცხვი პროცენტულად უდრის—27,7 პროც; გამორიცხულთა—71,1; და დროებით გამორიცხულთა—1,2 პროც.

პარტიიდან გამორიცხულთა განაწილება სოციალურ მდგომარეობის მიხედვით ასეთია:

	გამორიცხ.	დრ. გამორ.	მექან. გამ.	სულ
მუშები	131	9	78	218
ხელოსნები	59	3	24	85
გლეხები	40	—	14	54
მოსამსახ. და სხვ.	174	7	46	227
სულ	404	19	162	585

პარტიულ რიგების შემცირება თვითეულ სოციალურ ჯგუფში პროცენტულად ასეთია. თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშებმა—19 0 პრ., ხელოსნებმა—40,8 პროც; გლეხებმა—37,5 პრ მოსამსახურეებმა და სხვ.—39 6 პროც; ყველაზე მეტი პროცენტი დაჰკარგეს ხელოსნებმა, შემდეგ საბჭოთა მოსამსახურეებმა და სხვა ინტელიგენტურმა ელემენტებმა; მუშებმა შედარებით დაჰკარგეს მცირე პროცენტი.

გამორიცხვის მიზეზების მიხედვით არა კომუნისტური, მერყევი და საეჭვო ელემენტი—122; მორწმუნეობისათვის—5; ძალა-უფლების ბოროტად გამოყენება—2; ბანდიტიზმისა, ქურდობისა და ბოროტმოქმედებისათვის—14; გაწმენდაზე დაუსწრებლობისათვის—5; პარტიული სტაჟის გარდამეტება და ცრუ ჩვენებისათვის—9; კარიერიზმი და პირადი სარგებლიანობისათვის პარტიაში შემოპარვისგამო—26; ლოთობა, უწესო ყოფაქცევა და უხეში მოპყრობისათვის—32; ნაციონალიზმისა, შოვინიზმისა და ანტი-ებრაელობისათვის—2; ბოროტმოქმედების ჩადენა და თვით მომარაგება—14; ბიუროკრატიზმი და სამსახურისადმი ზერელე მოპყრობა—4; სპეკულიაციისა და ვაჭრობისათვის—15; პარტიულ მოვალეობათა არ ასრულება და პარტიულ დისციპლინის დარღვევა—44; პასიური წევრობა (ზედმეტი ბალასტი)—88; ინტრიგანობისათვის—5; სხვისი შრომის ექსპლოატაცია—1; უზნეო ყოფაქცევა და პროსტიტუცია,—5; წითელ არმიის წინაამდეგ ბრძოლაში მონაწილეობისათვის—7; მენშევიკების და სხვ. კონტრ-რევოლიუციონერების შენახვა—2; სხვა პარტიებიდან გამოსულები—9; ნება-ყოფლობითი წასვლა—7; სულ 423 კ. მექანიკ. გამორიცხ.—162.

ცენტრალური შემმოწმებელი კომისია.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა ტფილისის ბირჟაზე

მყიდველები თავს იკავებენ საქონლების შესყიდვისაგან და ელოდებიან კურსის განმტკიცებას. მიცემულია კერძო ფირმების ვაჭრობა ბერძნების პასაჟში. კერძო ვაჭრობა ფქვილით მოდუნდა. გაცხოველებულია ნედლეულობით ვაჭრობა. დიდი მოთხოვნილება ტყავზე და განსაკუთრებით ჯაგარზე. ჯაგარი ფუთი იყიდება—14-17 მილ. მანეთად. ჯაგრის მიწოდება ნაკლებია, მიუხედავად სეზონისა გამყიდველები არ ყიდიან და უცდიან ფასის აწევას.

რკინეულობით ვაჭრობას გაცხოველება ეტყობა. ფასები შემდეგია: ყუბანის ფქვილი „სეიანკა"-ზე არ არის მოთხოვნილება.

მთლიანი მუშათა კოოპერატივი ყიდდა ფუთს 550 ათ. მანეთად. ადგილობრივი ხორბლის ფქვილი 400—420. ადგილობრივი ხორბალი 400—420. სიმინდი—230—240. სიმინდის ფქვილი—280—300; შაქარი რაფინადი ყუთი სამი ტომრით—17.000, შაქარი ფხვნილი ფუთი—3.800 საზღვარ გარეთული ნარმა—CCC 40 იარდი—38–40 პიასტრი; რუსული ნარმა—120—140, საფრანგეთის სატინი ორმაგი მეტრი—130—140 პიასტრი; ფრანგული სატ. ერთი მეტრი—65—70 პიასტრი. რუსული სატინი—140—150, ინგლისური შევიოტი მეტრი № 300—8—9 ოსმ. ქაღ ლირა. უფრო მაღალ ხარისხის მეტრი—13—14 ოსმ. ქაღ. ლირა. უბრალო შევიოტი მეტრი—4–6 ლირა. მარმარილო საპონი—2,800—2,900

ტფილისის ფულის ბაზარი

დღეს დილიდანვე ვალიუტის კურს ემჩნევა დაწევის ტენდენცია. სახ. ბანკი ყიდის რუსულ ოქროს 5.000 ათასად. ერთ საათის შემდეგ კი—4 800 ათასად. კერძო ბაზარზე დილიადანვე ოქროს ათი მანეთიანი ფასობს—4 600 ათასს 12 საათიდან კი მისი კურსი ეცემა 4 000—4.500 ათ. ოქროს კურსის დაცემაში დიდი როლი ითამაშა ამიერ კავკასიის ფინანსიურ გაერთიანებამ. ქართული ბონების და აზერბეიჯანის ფულის ნიშნების შორის დაწესებულ პარიტეტის მიხედვით 1—100 და ბაქოში ოქროს კურსთან (ოქრო—300—500 მ ლიონი) დაკავშირებით ტფილისის ბირჟაზე ოქროს კურსი არ უნდა აღემატებოდეს 3—3,5 მილიონს. დაიწია დანარჩენ ვალიუტის კურსმაც. ოსმ ქაღ. ლირა—410—420, ასაღებენ 380. განმტკიცებულია რუსეთის ფულის ნიშნები.

სახალხო სასურსათო კომისარიატში

სასურს. კომ. დადგენილებით 1922 დეკემბრის მშრალი ულუფა ეძლევათ იმ საბჭოთა მოსამსახურეებს, რომელნიც ხსენებულ თვეში სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე ითვლებოდნენ, ან ეს ულუფა უნდა მისცემოდათ სახალხო სასურსათო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულობის თანახმად.

ულუფაში შედის:

ფხვნილი შაქარი—ერთი გირვანქა.
კარტოფილი—ათი გირვანქა.
ლობიო—ათი გირვანქა.
მარილი—ოთხი გირვანქა.

1. დეკემბრის ულუფის ფასი იმ წარმოებათა და დაწესებულებათათვის, რომელნიც მუშა მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ მტკიცე ტარიფით (დადგენილება № 51), შემდეგშია:

გირ. ფხვნილი შაქარი—30 000 მან.
ათი გირ. კარტოფ.—24 000 მან.
ათი გირვანქა ლობიო—48.000 მან.
ოთხი გირ. მარილი — 8.000 მან.
სულ მშრალი ულუფა 110 000 თვეში.

1) პური თათო გირვანქა თანამშრომელზე გირვანქა 3 500 მან. შეფასებით—105 000 მან., ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—215.000 მან.

2) პური ორი გირვანქა თანამშრომლებზე გირვანქა—3.500 მან. შეფასებით—210.000 მ, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—373,000 მან.

3 პური ორი გირვანქა ნახევარი თანამშრომელზე გირვანქა—3 500 მ. შეფასებით—263 000 მან, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—373 000 მან,

11 ულუფის ფასი იმ წარმოებათა და დაწესებულებათათვის, რომელთაც კოლექტიური ხელშეკრულება აქვთ დადებული და მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირს აძლევენ მტკიცე ტარიფზე მეტს შემდეგია:

მშრალი ულუფა ზემოხსენებულ რაოდენობით და შეფასებით—110.000 მან.

1) პური ერთი გირვანქა თანამშრომლებზე, გირვანქა—4 500 მან. შეფასებით—135.000 მ, ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—245 000 მან.

2) პური ორი გირვანქა თანამშრომლებზე გირვანქა—4 500 მან. შეფასებით 270 000 მან., ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად—380 000 მან.

3) პური ორი გირვანქა ნახევარი თანამშრომლებზე, გირვანქა 4.500 მან. შეფასებით 338 000 მან., ხოლო მშრალ ულუფასთან ერთად 449 000 მან.

ამ შეფასების მიხედვით უნდა გამოირიცხოს ჯამაგირი ულუფის ფაქტიურად დარიგების შემდეგ.

ცენტრალურ პარტშკოლის და წითელი არმიელის უნივერსიტეტის პოლიტ. განათლების მთავარ სამმართველოსთან კავშირის შესახებ.

პუშკინის ბიბლიოთეკა (50 ათასი ტომი) სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა სახლი ყველა მისი კაბინეტებით (სასკოლო საკურსო, ბიბლიოთეკა - ბიბლიოგრაფიული, ასტრონომიული-ობსერვატორია, სკოლის გარეშე მოსწავლის ბიბლიოთეკა—3 ათასი ტომი, საჯარო აუდიტორია, ეპიდიოსკოპი, „ვალშების" ფანრები, მიკროსკოპები და სხვ.) გადაკეთებული იქნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ პარტშკოლის და კავკ ცალკე არმიის წითელი არმიელთ უნივერსიტეტის სასწავლო სახელმძღვანელო დამხმარე დაწესებულებათ.

საქ. საბჭ სოც. რესპ. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს გამგე—**ხ. ჯაფარიძე.**

ცენტრალ. პარტშკოლის გამგე—**ხ. ნოვიკოვი.**

წითელ-არმიელთა უნივერსიტეტის უფროსი—**ხ. ხუტორინი.**

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის რესპ. საკავშირო საბჭოში

— **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** საკავშირო საბჭომ აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და გადასცა მის განკარგულებაში 10 მილიარდი მანეთი.

— **ტანსაცმელი მუშებს.** საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო საქ. დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს, უბაჟოთ გადაიტანოს ტანთსაცმელი საქართველოს დამშეულ მუშებისათვის დასარიგებლად.

— **ღერბი და დროშა.** საკავშირო საბჭოსაგან დანიშნული ჟიური ამ დღეებში განიხილავს და დაამტკიცებს ფედერალურ რესპუბლიკების ღერბს და დროშას, რომელთა ნიმუშები წარდგენილია საბჭოში საკონკურსოთ მხატვრებისაგან.

შინაგ. საქმეთა კომისარიატში

— **დაჯილდოება.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა მადლობა გამოუცხადა და 10 მილიონით დააჯილდოვა ოზურგეთის მაზრის მილიციის უფროსი ამხ. მახარაძე და მისი თანაშემწე ჯიბუტი, მოვალეობის პირნათლად და ენერგიულ ასრულებისათვის, რაც უმთავრესად გამოიხატება ხსენებულ მაზრაში გამრავლებულ ყაჩაღების წინაამდეგ ბრძოლაში. ამავე მილიციის უფროსს გადაეცა 8 მილიონი მანეთი მილიციონერებს შორის გასანაწილებლათ, რომელთაც დიდი გმირობა გამოიჩინეს ყაჩაღებისა და ქურდების განადგურებაში, ხოლო მათთან ბრძოლაში დახოცილ მილიციონერების ოჯახებს დაენიშნათ დახმარება.

— **ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი.** შინაგან საქმეთა კომისარიატთან დაარსდა ვ ნ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით, რომლის მიზანია შეადგინოს აღწერილობა და ჩაიბაროს მთელი ქონება ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის. კომისიაში შედიან ქალაქის აღმასკომის და ახალგაზრდათა კომუნისტების კავშირის წარმომადგენლები.

მიწ. დამუშავების კომისარიატში.

— **თავდასხმა.** მიწ. დამუშავ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ ცნობა მიიღო საჩხერიდან, რომლითაც ტყის გამგე წერილობით იტყობინება, რომ 13 დეკემბერს თავს დაესხნენ ტყის გამგის სამმართველოს და წაიღეს ფული, თოფები და სხვა და სხვა ნივთები.

— **სკოლების გახსნა.** მიწად მოქმედების კომისარიატმა ტაბახმელაში არსებულ საქონლის ჯიშის [illegible] სადგურის მუშებისათვის გახსნა საღამოს სკოლა. ჯერ-ჯერობით სკოლაში ირიცხება 27 კაცი.

ქალაქის აღმასკომში.

— **ვერის ბორანი.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ვერის ბორანის მაგივრად რკინის ხიდის გაკეთება იკისროს თვით აღმასკომმა და ხიდის ექსპლოატაციიდან შემოსული ფული საესებით გადაეცეს ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სააღმშენებლო კომიტეტს.

— **შრომისა და ტვირთზიდვის შტატის გაუქმება.** პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე დაადგინა, გაუქმებული იქნეს შრომის და ტვირთზიდვის სპეციალური შტატი და გადასახადის აკრეფა დაევალოს სამასამართო მაგიდას.

— **რძით ვაჭრობის შესახებ.** პრეზიდიუმის დადგენილებით, 1923 წლიდან წესდება გადასახადი რძით ვაჭრობის ნებართვაზე შემდეგი სახით: ნებართვისათვის 200,000 მან. და ნებართვის წიგნაკისათვის 50 მან.

— **საქალაქო გადასახადის შემოდინარეობა.** ქალაქის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს ცნობებით. სამოქალაქო გადასახადის შემოტანა ჯერ-ჯერობით დამაკმაყოფილებელია. უკვე შემოტანილია 75 პროც. შემოსავალთან სრული გადასახადის რაოდენობის. გადაწყვეტილია ამა წლის 16 იანვრიდან დაწესებულ იქნას სამოქალაქო გადასახადზე 25 პროც. მომატება, ვისაც კუთვნილი გადასახადი არ ექნება შემოტანილი აღნიშნულ დრომდე.

სხვა და სხვა.

— **სავარჯიშო სროლა.** ქალაქ თბილისის კომენდანტი იტყობინება რომ 15 იანვრიდან 1 თებერვლამდე ქალაქის მიდამოებში იწარმოებს ტყვიის მფრქვეველთა სავარჯიშო სროლა.

— **კოოპერატორთა კონფერენცია.** თებერვლის შუა რიცხვებში ტფილისში მოწვეული იქნება ამიერ კავკასიის კოოპერატივების წარმომადგენელთა მეორე კონფერენცია. კონფერენციაზე დამტკიცებული იქნება კავშირის ახალი წესდება, გამოირკვევა მისი შემადგენელი ერთეულები და გადაწყდება მთელი რიგი საკითხები ტფილისის კოოპერატიული აღმშენებლობის შესახებ. ხსენებულ კონფერენციის დასრულების შემდეგ მოწვეული იქნება ამიერ კავკასიის ორგანიზატორ ინსტრუქტორთა თათბირი, რომლის მიზანია გამოარკვიოს მშენებლობის საქმე ამიერ კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში. გამოიმუშაოს ერთნაირი ფორმა აღრიცხვისა და სტატისტიკის და დააწესოს დამოკიდებულება ყველა კოოპერატიულ ერთეულების ორგანიზაციულ განყოფილებათა შორის.

— **დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულ მაზრებს.** საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტმა დაადგინა მიეცეს წყალდიდობისაგან დაზარალებულ რაჭისა და ოზურგეთის მაზრებს დახმარების სახით ორ-ორი მილიარდი მანეთი, ლეჩხუმის მაზრას ერთი მილიარდი, სენაკის და გორის მაზრებს და ფოთს ნახევარი მილიარდი თითოს.

ხელოვნება

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეოთხეთ ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება". დადგმა კ. მარჯანიშვილის.

— **მხატვართა საღამო** დღეს, ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ქართველ მხატვართა საბჭოს მეხუთე მხატვრული საღამო. იაკობ ნიკოლაძე წაიკითხავს მოხსენებას როდენზე.

— **ნათარგმნი ლიტერატურა.** უცხოეთის ლიტერატურის სათარგმნათ შესდგა კომისია პროფ. გ. ახვლედიანის ინიციატივით. კომისიას განზრახვა აქვს სახალხო განათლების კომისარიატის დახმარებით გამოსცეს საშუალო სასწავლებლებისათვის ქრესტომატიები: 1) აღმოსავლეთის ლიტერატურა—ინდიური, ასურული და სპარსული, 2) ბერძნული, 3) რომაული, 4) იტალიური, 5) ინგლისური, 6) გერმანული და 7) ფრანგული.

— **სტიპენდიანტები სუმბათაშვილ-იუჟინის სახელზე.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა, სუმბათაშვილ იუჟინის დაუღალავი სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ და მის საპატივცემლოთ აყვანილ იქნას 2 სტიპენდიანტი მის სახელზე. ერთი სახელმწიფო კონსერვატორიაში და ერთი დრამატიულ სტუდიაში სრული უზრუნველყოფით.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—მადამ ბატერფლეი, რუსთაველის თეატრი—მზის დაბნელება, კ მარჯანიშვილის რეჟისორობით, არტისტულ საზოგადოების დარბაზი—მხატვრული საღამო-კონცერტი, სახალხო სახლი— მარგარიტა გოტიე, პირველი სახელმწიფო კონსერვატორია—ტერ - დანიელიანის კონცერტი, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კლუბი—ამხ. გინზბურგის მოხსენება.

მუშათა ცხოვრება

მეტყავეთა შორის

10 იანვარს მოწვეულ იქნა მუშების საერთო კრება თბილისის საბჭოში დეპუტატების ასარჩევათ. კრების დაესწრო წარმოების მთელი შემადგენლობა უკლებლივ.

მომხსენებელმა აღნიშნა ყოფ. საბჭოს დადებითი მუშაობა ყოველმხრივ და მოუწოდა კიდევ აირჩიონ კომუნისტურ პარტიის კანდიდატები, პარტიის, რომელმაც ასე ჩინებულად შეასრულა თავისი მოვალეობა მუშათა კლასის წინაშე.

მოხსენების შემდეგ ადგილობრივ კომიჩეიკამ წარმოადგინა კანდიდატთა სია, რომელიც კრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული. არჩეულ იქნა 5 კომუნისტი და 1 უპარტიო.

შეუცვლელად იქნა მიღებული აგრეთვე ნაკაზიც დეპუტატებისადმი.

13 იანვარს ადმინისტრაციის მიერ გაღებულ 15 მილიონი მანეთად გამართულ იყო მუშების ბავშვებისთვის „ნაძვის ხე". ბავშვები ბლომად დაესწრენ. ბავშვები დასაჩუქრებულნი და ნასიამოვნებნი დაიშალნენ.

მუშა ეგიაზაროვი.

ფოსტა-ტელეგრაფის საკ. კომ. ცენტრალურ ტელეფონის სადგური

ლენინის ქუჩა № 1.

ზემოხსენებულ ტელეფონის სადგურში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღწევს 135 კაცს, მათ შორის მუშები არის 224 მოსამსახურეები კი—111. მუშა-მოსამსახურეთა ამ საერთო რიცხვიდან მარტო ქალები არის 125 მუშაობა სწარმოებს 24 საათის განმავლობაში მორიგეობით, მაგრამ მუშაობის პირობები მაინც მძიმე და დამღლელია. ჯამაგირებს მუშები ღებულობენ ნორმალურად თავის დროზე, მხოლოდ მომუშავეები ორივე სქესისა ძლიერ უკმაყოფილო არიან უფროსებზე. ვინაიდან უფროსები ძალიან ცუდად ექცევიან თავიანთ ხელქვეითებს: ითხოვენ სამუშაოდან სრულიად წინადადების მიუცემლად, პატარა შეცდომა საკმარისია, რომ ქუჩაში ულუკმა-პუროდ გაგაბრძანონ. ეს დღევანდელ პირობებში დაუშვებლად მიგვაჩნია. თუ მართლა ზოგიერთი მუშა-მოსამსახურე უცოდინარობის გამო რიგიანად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, მაშინ მის ცოდნის შეფარდებით უნდა ჩამოაქვეითონ შესაბამ სამუშაოზე ან თუ—სრულიად გაუსწორებელია, წინადადება უნდა მიეცეს, რომ ამ და ამ რიცხვიდან სამსახურიდან დათხოვნილ იქნება, თორემ უამისოდაც გამწვავებულ უმუშევრობას ზედ დაერთობა აქედან დათხოვნილ მუშების რიცხვი, რაც არ არის სასიამოვნო.

ყოველ დარგში არის სპეციალურ ცოდნის მისაღები კურსები, რამაც საბჭოთა დაწესებულებებს დიდი სამსახური გაუწია.—აქაც საჭიროა, ასეთი კურსები შევავსოთ მომუშავეთა გონებრივი დანაკლისი.

შტატის შემცირება აქ არ ყოფილა, ვინაიდან შეუძლებელი იყო არსებულ მომუშავეთა რიცხვზე ნაკლებ შტატით სადგურის არსებობა. აქაური მუშები ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის შეგნებულად ემზადებიან, გაზეთ „კომუნისტ"-ის ხელის მოწერაზე მუშა მოსამსახურეებმა სურვილი განაცხადეს—15 20 კაცამდე ჯერ ჯერობით.

გამვლელი.

სადაც გვიკეთ, იქით წავიკეთ.

ხსენებული ხალხური ანდაზა სწორეთ ჩვენზე არის თქმული.

ჯერ იყო და მენშევიკების დროს ვერ ვეღირსეთ და ვერა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

დადგა ახალი დრო. წითელ შუქმა შემოანათა ჩვენს ბნელ სამუშაო ოთახში და მედგრად შეებრძოლა არსებულ უკანონობას. პირველი შეტევა ძლიერი იყო, მაგრამ [illegible] დრომ და შრომის პირობები კვლავ გაუარესდა და ბოლოს აუტანელიც კი შეიქნა.

საქმე შემდეგშია:

ტყავის დამმუშავებელ მუშებს განსაზღვრულ ჯამაგირის გარდა, რომელიც აღწევს 4 მილიონ მანეთს, გვეძლევა კიდევ ზედმეტად დამუშავებულ ტყავ სათვის ცალკე ჯილდო. ამ პირობებში ყველაფერი რიგიანი იქნებოდა, მაგრამ უბედურება იმშია, რომ სწორეთ იგი სამუშაო ნიმუში არის დაწუნებული, რომ იმის დამუშავების შემდეგ, თუნდ რომ სულ არ დავისვენოთ მთელი 8 საათის განმავლობაში და, როგორც ამბობენ, წელზე ფეხები დავადგათ, მაინც აღარ გვრჩება სრულებით დრო, რომ მცირე საპრემიო საქმეც წავიმუშაოთ და ცოტა ლუკმა პური მივაწოდოთ ჩვენს ცოლშვილს.

ამისათვის მივაქცევთ ჩვენი კავშირის ყურადღებას ამ გარემოებას და ვსთხოვთ მას მიიღოს ზომები ამ დიდი ძირითად სამუშაო ნორმის ცოტაოდნი შემცირებისათვის.

ყოფილ ადელხანოვის ქარხნის მუშების ერთი ჯგუფი.

სიმშილის მსხვერპლი

(მოგონებანი მუშების წარსულ ცხოვრებიდან მენშევიკების ბატონობის დროს).

(დასასრული იხ. „კომ." № 10)

ვინ არის ეს ქალი? იცნობთ ამას: შეეკითხნენ ზოგი ერთი ცნობის მოყვარენი მიცვალებულის მეზობელს.

დიახ „კარგად, ვიცნობ" უპასუხა მიცვალებულის მეზობელმა და განაგრძო: „ეს ქალი ყოველად პატიოსანი და [illegible] იყო. მაგრამ მას არავინ არ გააჩნდა; ობოლი იყო და რომ ნამუსიანათ ეცხოვრა და თავი ერჩინა ამისათვის წარსულ წელს შევიდა სამუშაოთ ქალაქის ერთს თუთუნის ქარხანაში, მაგრამ ბოროტი და საძაგელი ადამიანები ყველგან მოიპოვებიან, იმ ქარხანაში, სადაც ეს ქალი შევიდა იყო ერთი უფროსი მექანიკი, რომლისათვის არავითარი სინდისი და პატიოსნება არ მიუცია ბუნებას. აი ამ უზნეო სხეულს მოინდომებია, რომ ამ პატიოსან ადამიანის გაჭირვებით ესარგებლა და დროებით ეცხოვრა მასთან. მაგრამ როდესაც ქალისაგან უარი მიიღო, ის გადაემტერა მას და მოსვენებას აღარ აძლევდა და მიზეზს ეძებდა იმისა, რომ ეს საბრალო დედაკაცი საუკეთესო მუშა იყო და სინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, მექანიკისთვის ის მაინც ყოვლად უნიჭო და უვარგისი არსება იყო მთელ ქარხანაში. სინდისახდილი და გამხეცებული მექანიკი საწყალ უწყინო დედაკაცს ხშირად აბეზღებდა ქარხნის პატრონთან და საქმე ისე მოაწყო მასთან, რომ ქალი ქარხნიდან დაეთხოვნინა. ამ გარემოებამ ისედაც გაჭირვებული ადამიანი უარეს სიღარიბე-გაჭირვებაში ჩააგდო და იძულებული გახდა დამორჩილებოდა მექანიკის ბოროტ გრძნობის ბრძანებას. ამის შემდეგ ქალი ხელ მეორედ დაუშვეს სამუშაოზე და მექანიკმაც მას კეთილი თვალით დაუწყო ყურება იმ დრომდე, ვიდრე საბრალო დედაკაცი ამ ბავშვის დედა შეიქმნებოდა. ბავშვის დაბადება მექანიკს არ ესიამოვნა და რომ თავიდან აეცილებინა ეს ფრიად უსიამოვნო მოვლენა მან ხელ ახლად მიჰყო ხელი თავის ძველ ქმედებებს და საბრალო მუშა ქალი ხელმეორედ ქარხნიდან განდევნა და არავითარი ცხოვრების სახსარი მას არ მისცა. ამის შემდეგ ნათესავებმაც ქალს პირი აარიდეს. არავინ მას ყურადღებას არ აქცევდა, რადგანაც, იმათი აზრით, ის უზნეო ადამიანი იყო და იმას კი აღარა ვინ დაეძებდა თუ რამდენად საწყალი ქალი დამნაშავე იყო თავის გაუბედურებაში.

აი, ამ გვარად ქალი დარჩა სრულიად უსახლოდ და ცხოვრების სახსარს მოკლებული მე ხშირად მინახავს ეს ადამიანი ცივ ზამთარში წყლის პირას სარეცხის რეცხვაში, რამაც ის დაასნეულა და დაუკარგა მას ერთად ერთი მისი მასაზრდოებელი შრომის ძალ-ღონე, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მოქალაქეებო, როდესაც ეს ძვირფასი განძი, ეს სიმდიდრის შემქმნელი შრომის უნარი ადამიანში აღარ არსებობს, იმის სიცოცხლის ბოლო ყოველთვის ასეთი იქნება და როდის მიეცემა დასასრული ასეთ უბედურ შემთხვევებს, ეს ჩვენთვის ჯერ-ჯერობით გამოცანაა. ამის სიკვდილი ჯერ ადრე იყო, მაგრამ შიმშილმა და გარყვნილ ადამიანის თავხედობამ, მალე მისცა დასასრული—მის სიცოცხლეს". და როდესაც უცნობმა კაცმა თავისი საუბარი დაასრულა გამოჩნდა სასწრაფო დახმარების ეტლი, რომელმაც ბავშთან ერთად დედის გაცივებული გვამი საავადმყოფოსაკენ სასწრაფოდ გააქანა.!

მუშა **ალ. ბ—შვილი.**

პროფკავშირებში

სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშათა ყრილობა

14 იანვარს გაიხსნა სრულიად საქართველოს ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პირველი ყრილობა.

ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგი: კაკაბაძე, საყვარელიძე, შავერდოვა, ავენირი, გურსკი, ქურიძე და ანჩარსკი.

სამდივნოში:—ამხ კავჭნსკი, ანჩარსკი, სტორ. სამანდატო კომისიაში: გიულუმიანი, კაპაროვი და ლიპატოვი. სარედაქციო კომისიაში: ამხ. კაკაბაძე, თუმანოვი და გურსკი.

ყრილობას მიესალმენ განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობის, წითელ არმიისა, ახალგაზრდობის პრესის და მუშა კორესპონდენტების წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წეს-რიგი შესდგებოდა შემდეგ საკითხებისაგან:

1) პოლიტიკური მდგომარეობა და პრესის ამოცანები.
2) დროებით ბიუროს ანგარიში.
3) ბეჭდვითი საქმის ძირითადი საკითხები.
4) სატარიფო საკითხი.
5) ბიუროს არჩევნები და
6) დელეგატების არჩევნები სრულიად რუსეთის ყრილობისათვის.

დროებით ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ავენირმა. მან აღნიშნა ის გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდნენ უკანასკნელ დრომდე ბეჭდვითი საქმის მუშაკები. სანამ ერთ კავშირში გაერთიანებული იყვნენ განათლებისა და ხელოვნების მუშაკები ბეჭდვითი საქმის მუშაკები დაფანტული იყვნენ სხვა და სხვა კავშირებში და ამრიგად ბეჭდვითი მუშაკთა ცეხი, როგორც მას ეწოდებოდა, არ იყო ჩამოყალიბებული და ორგანიზაციულად მოწყობილი. მისი მოწყობა ორგანიზაციულად, ასე თუ ისე, შესაძლებელი გახდა ხსენებულ დარგების მუშაკების ცალკე კავშირების შექმნის შემდეგ. ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ორგანიზაციის მოუწყობლობა უკანასკნელ დრომდე დიდ უარყოფით გავლენას ახდენდა თვით ჟურნალისტებზე, რომელთა რიცხვი კავშირში მეტად მცირე იყო.

არავითარი ტარიფი არ არსებობდა. ცეხი არ სარგებლობდა არავითარი გავლენით და ამით აიხსნებოდა ის გარემოება, რომ სხვა კავშირებში ჩაწერილი მუშაკები უარს აცხადებდნენ ბეჭდვითი კავშირში გადმორიცხვაზე და გაურბოდნენ კიდეც მას.

დროებით ბიუროს ყურადღება და მუშაობა მიმართული იყო ბეჭდვითი საქმის მუშაკების ერთ კავშირში გაერთიანებისა და ტარიფის დაწესებით მათ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ ამ მხრივ დიდათ შეუწყო ხელი ბიუროს და საქმე რამოდენიმედ მოაგვარა განათლების მუშაკთა ყრილობამ. მბეჭდავთა ცეხი ნოემბრის საზოგადო კრებაზე გადაკეთებულ იქნა სექციათ.

გარდა ამისა, ამხ. მომხსენებელი ამბობს, რომ ბიუროს მუშაობა მიმდინარეობდა სამი მიმართულებით:

სექციის წევრთა წმენდის, ტარიფის შემუშავება დაწესების და სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევის გზით ამ ამოცანების შესრულების დროს ბიუროს ეღობებოდა მრავალი დაბრკოლებები. არ არსებობდა კავშირი არამც თუ ადგილებთან, არამედ თბილისის ორგანიზაციებთანაც კი. კავშირის დასამყარებლად არჩეულ იქნენ რწმუნებულები, რომელთაც დააწვათ მთელი სიმძიმე მუშაობის.

წმენდისათვის საჭირო მასალის, საწევრო და დამხმარე კასის გადასახადების აკრება და წევრების აღრიცხვა—ყოველივე ეს დაკისრებული ჰქონდათ რწმუნებულებს, რომელთაც, მიუხედავად მრავალი საქმისა, დიდი მუშაობა შეასრულეს. ტარიფის გადიდების მხრივ სექციამ, დიდ დაბრკოლებათა შემდეგ შესძლო მაინც ბაზარზე ფასების სწრაფად გაზრდის დროს ტარიფის 20 პროც. მომატება და უკანასკნელად 80 პროცენტით. განზრახულ ყრილობის მოსამზადებლათ საჭირო იყო კავშირის შექმნა ადგილებთან, როგორიც არის ბათომი, სოხუმი და ქუთაისი. ბიურომ შესძლო გაგზავნა ამხანაგის საქმის გამოსარკვევათ და ყრილობისათვის წინასწარ მუშაობის ჩასატარებლათ მხოლოდ ბათომში. დანარჩენ ადგილებში ყოვლად შეუძლებელი გახდა უდროობის გამო რომელიმე ამხანაგის გაგზავნა; ყოველ შემთხვევაში, ამბობს უკანასკნელად ამხ. ავენირი, ბიურომ შესძლო წმენდის ჩატარება, ასე თუ ისე ტარიფის საქმის მოგვარება და მოწვევა სრულიად საქართველოს ყრილობისა, რაც დამამტკიცებელია იმისა, რომ ბეჭდვითი საქმის მუშაკები გაერთიანებულნი არიან, აქვთ თავისი სექცია, მათი მდგომარეობა გამორკვეულია და შეუძლიათ მომავალში თანდათანობით გააუმჯობესონ საქმე. არ არის

გაუქმებული შემდეგ: არ სწარმოებს პროფ. კულტურული მუშაობა, ვერ მოხერხდა კლუბის მოწყობა, ვერ მოხერხდა ტეხნიკურ პერსონალის შემოკრება და სხვა; ყოველივე ამას უნდა მიაქციოს ყრილობამ სერიოზული ყურადღება.

რეზოლიუციების შემუშავება და წარმოდგენა ყრილობის დასასრულს დაევალა სარედაქციო კომისიას.

დღის წესრიგის შემდეგ მუხლზე—ბეჭდვითი საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჟვენირიმე. მან აღნიშნა საზოგადოთ ბეჭდვითი საქმის მდგომარეობა ტფილისში და ცალკე შეეხო ცალკე ორგანოების მდგომარეობასაც. გამოირკვა, რომ საზოგადოდ რედაქციებში ნაკლებადაა საქმის მცოდნე—დახელოვნებული მუშაკები. და დიდ რაოდენობას შეადგენენ უპარტიონი. არა სანუგეშო მდგომარეობაშია აგრეთვე გამომცემლობის საქმე მატერიალური მხრივ. ქაღალდის და პოლიგრაფიულ განყოფილების დასაკმაყოფილებელი ხარჯები შეადგენს 70 პროც. ასე, რომ თუ გაზეთები არსებობენ, ეს მხოლოდ ხდება იმის შემწეობით, რომ ისინი გაერთიანებულია საგაზეთო ტრესტში და საერთო ძალღონით, ასე თუ ისე, მოსახერხებელი ხდება ბრძოლა მრავალ-გვარ დაბრკოლებასთან. მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან თანამშრომლები. ხელფასის მიცემის მხრივ დღემდე არ არის გამორკვეული განაკვეთი თვითეულ პასუხისმგებელ მუშაკისათვის, მაშინ როდესაც სხვა დაწესებულებათა თანამშრომლები მოთავსებულნი არიან სატარიფო ცხრილის განსაზღვრულ განაკვეთებში; ამას უნდა მიაქციოს ყრილობამ დიდი ყურადღება და გამოიტანოს თავისი დადგენილება. მომხსენებელი, ბეჭდვითი საქმის გასაუმჯობესებლად იძლევა შემდეგ კონკრეტიულ წინადადებებს: სტამბების გადაცემა რედაქციებზე, ქაღალდის ფონდის მიღება, წარმოება ზოგიერთ საწარმოო ოპერაციებისა და გაძლიერება რედაქციების საგანგებო ძალებით.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენებები ბათუმიდან და თბილისის ორგანოებისაგან, საიდანაც გამოირკვა მეტად უმწეო მდგომარეობა ძალებისა და შემოსავალ წყაროების ნაკლებობის მხრივ გაზეთების არსებობისათვის. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა წითელ არმიელის პრესაში და სხვა რედაქციებში. დასასრულს მოსმენილ იქნა მოხსენება კავკ. ტელეგ. სააგ. წარმომადგენლის ამხ. გურსკის, რომელმაც თითქმის იგივე დაბრკოლებები აღნიშნა, როგორიც დანარჩენმა ორგანოებმა.

ამით დამთავრდა მუშაობა ამ დღეს.

ამიერ-კავკასიის სახალხო შემაერთებელ კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის მე-2-რე ყრილობა.

(გაგრძელება იხ. „კომ.“ № 9)

ა. კ. სახალხო შემაერთებელი კავშირის ყრილობის მე-11-ე სხდომა გაიხსნა 12 იანვარს 11 საათზე მუშა ცხაკაიას სახელობის კლუბში. თავმჯდომარეობს ამხ. ლომაია.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. კადილს.

ამხ. კადილი თავის მოხსენებას ყოფს ორ ნაწილად: საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა ფედერაციის შინაური მდგომარეობა.

ამხ. მომხსენებელი აღნიშნავს კაპიტალისტურ ევროპას პოლიტიკურ და ეკონომიურ დაშლის და საბჭოთა რესპუბლიკების თანდათანი ყოველმხრივი განმტკიცების პროცესს.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. კადილის საერთაშორისო მდგომარეობაზე და შინაგან მდგომარეობაზე საბჭოთა ფედერაციისა, ა. კ. სახალხო შემაერთებელ კავშირის მე 11 ყრილობა აღტაცებით ეგებება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, მიმართულს მუშა და გლეხთა და მსოფლიო მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად.

ყრილობა თავის მხრივ ფიცით სდებს, რომ მოკავშირენი ს. შ. კ. სიკვდილამდე იბრძოლებენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად და საერთაშორისო რევოლიუციის გასამარჯვებლად.

შემდეგ მოსმენილ იქნა ინფორმაციული მოხსენება ცალკე რესპუბლიკების ც. გ.

პირველი სიტყვა ეძლევა აზერბეიჯანის ც. გ. წევრს ამხ. ტერ-დანიელიანცს:

13 მაისს 1920 წ. იყო შედგენილი ც. გ. აზერბეიჯანის რესპუბლიკანურ მასშტაბით. პირველ ხანებში არ გვქონდა კავშირი ცენტრთან, რის გამო მოკლებული ვიყავით სათანადო ინსტრუქციებს, და მუშაობაც ვერ დავაყენეთ თავის დონეზე. ც. გ. სცდილობდა მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, რაც გამოიხატებოდა ჯამაგირის მომატებაში; გვქონდა კავშირი ადგილკომებთან და სამეურნეო ორგანოებთან; მე-11 ყრილობის ანგარიშიდან სჩანს რომ ც. გ. გააკეთა დიდი საქმე. ყველა განყოფილებებში კოჭლობდა ს. ც. გ. მაგრამ ეს იყო გამოწვეული საერთო მდგომარეობით, რასაც ანგარიშს უწევდნენ ს. შ. კ. მოკავშირენი და მუშაობდნენ პირნათლად. მესამე ყრილობამ გაითვალისწინა მომავალი მუშაობა და აგრეთვე მიიღო მხედველობაში, რომ წარსული შეცდომები არ გამეორებით. „ნეპის“ გამოცხადების შემდეგ ამოცანა პროფმუშაობისა შეიცვალა. ახალი ამოცანის შესრულება არც ისე ადვილი შეიქმნა იყო ჩატარებული „ნეპ“-ის ირგვლივ კამპანიები: თავისუფალი კავშირის წევრობა, სატარიფო პოლიტიკის შეცვლა, დამოკიდებულება სამეურნეო ორგანოებთან და სხვა.

მესამე ყრილობის შემდეგ განვლო 4 თვემ. იდგა საკითხი გაერთიანებისა ა. კ. მასშტაბით, იქნა ჩატარებული კამპანიები ამის ირგვლივ, და აგრეთვე გაუმჯობესებული პროფ.—მუშაობა.

სიტყვა ეძლევა საქართველოს ც. გ. წარმომადგენელს ამხ. ბერძენიშვილს: ს. შ. კ. ც. გ. შეუდგა მუშაობას მეორე ყრილობის დამთავრების შემდეგ, ე. ი. 1922 წლის 10 აგვისტოდან. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში პროფმუშაობას დაებადა ახალი ამოცანები. დირექტივებს თავის მუშაობისათვის ვღებულობდით ს. პ. კ. ს.

თითქმის ყველა ქართველ მანაგერმა იცით, თუ რა ბედი ეწვია ძველ გამგეობას, რომლიდანაც არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება მათი მუშაობის შესახებ ჩვენ შეუდექით მუშაობას მხოლოდ ახალი დირექტივების მიხედვით. კავშირი თამაშობს უმთავრეს როლს სახელმწიფო აპარატის მოწყობაში. ამისათვის საჭირო იყო რესურსი, რომელსაც ჩვენ მოკლებული ვიყავით, მაგრამ ვღებულობდით დახმარებებს, რამაც გამოიწვია ჩვენი კავშირის საქმე. ყველა დარგებში მოგვარებული იქნა საქმე, გარდა კულტურულ განმანათლებელ განყოფილებისა. თუმცა აქაც მუშაობა ენერგიულად სწარმოებდა. მაგრამ ჩვენ ვიცით თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დარგს, რომელსაც უფრო მეტი ყურადღება მიექცა ამხ. ათარბეგოვის დახმარებით, რომელმაც ამ დარგისათვის მოგვცა ბოლო ხანებში ნახევარი მილიარდი მანეთი, რითაც გამოკეთდა საქმე, მომავალში დარწმუნებული ვართ, ყველაზე უფრო მაღლა დავაყენებთ ამ დარგს. ჩვენ გვქონდა კავშირი პერიფერიებთან, როგორიც არის მუშკომები, ფაბრიკომები და ადგილკომები. სულ ს. შ. კ. ითვლება 2372 წევრი; თბილისში 1079, პროვინციაში 1293. ც. გ. არსებობს შრომის დაცვის განყოფილება ამ განყოფილებას ყავდა აყვანილი აღრიცხვაზე 318 უმუშევარი წევრი, მათ შორის გაიგზავნა სამუშევარზედ 221.

დამოკიდებულება ც. გ. და ადმინისტრაციას შორის საუცხოვოა. ყველა ასრულებს თავთავის ფუნქციებს და ვმუშაობთ შეთანხმებულად.

დან-მელინა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ.

(ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტისათვის)

ა. უმაღლესი სასწავლებლის მიზანი და დანიშნულება.

1. უმაღლესი სასწავლებლის მიზანია:

ა) შექმნას სპეციალისტთა კადრი პრაქტიკულ მოღვაწეობის სხვა და სხვა დარგისათვის.

ბ) მოამზადოს მეცნიერების მუშაკნი რესპუბლიკის სამეცნიერო, სამეცნიერო-სატეხნიკო და საწარმოო დაწესებულებათათვის და კერძოდ თვით უმაღლესი სასწავლებლისათვის.

გ) გამოიკვლიოს სამეცნიერო კითხვები ცოდნის ყოველ დარგში, დააარსოს სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტები, კურსები და სამეცნიერო ასოციაციები განათ. სახ. კომისარიატის დამტკიცებით.

დ) გაავრცელოს მეცნიერული ცოდნა პროლეტარულ და გლეხურ მასებში, რომელთა ინტერესსაც უმაღლესი სასწ. მოღვაწეობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს.

ბ) უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა შესახებ.

2) უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტად შეიძლება იქნეს ორივე სქესის მოქალაქე, 16 წლის ასაკ შესრულებული, უკეთუ იგი აკმაყოფილებს უმაღ. სასწ. მიერ შემუშავებულ მისაღებ წესებს, რომელსაც დაამტკიცებს განათ. სახ. კომისარიატი.

3. უმაღ. სასწ. სტუდენტი მოვალეა შეასრულოს ყოველი მოთხოვნილება სასწავლო და ადმინისტრატიული ხასიათისა.

4. სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში ფასიანია.

შენიშვნა: დროებითი ზომის სახით, რესპუბლიკის განსაკუთრებული ეკონომიური მდგომარეობის გამო შემოღებულია ლექციების მოსმენისა და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებათა გამოყენებისათვის, სწავლის ფასი, რომლის რაოდენობასა და გადახდის წესს დაადგენს განათლების სახალხო კომისარიატი.

გ. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა შესახებ.

5. ყველა ის პირი, რომელიც ეწევა უმაღლეს სასწ. მეცნიერულ მუშაობას, რა ხასიათისაც უნდა იყოს იგი, იწოდება—მეცნიერების მუშაკად.

6. მეცნიერების მუშაკად ითვლება:

ა) პროფესორი და დოცენტი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს დამოუკიდებელ კურსებს, ან მეცადინეობას, ან განაგებს უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას.

ბ) მასწავლებელი, რომელიც უძღვება დამხმარე კურსებს ან მეცადინეობას, ან და მუშაობს დამოუკიდებლად, ხოლო ერთ-ერთ პროფესორის ხელმძღვანელობით.

გ) სამეცნიერო-სასწავლო დარგის თანამშრომელი, რომელიც ეხმარება პროფესორს, დოცენტს და მასწავლებელს მუშაობაში, ან ემზადება დამოუკიდებელი სასწავლო და სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

შენიშვნა: 1, მეცნიერების თვითეული კატეგორიის მუშაკთა რიცხვი და მათი ჯამაგირი განისაზღვრება უწყებული უმაღლესი სასწავლებლის შტატით.

შენიშვნა: 2, ამა დებულების თანახმად არჩეული პროფესორისა, დოცენტისა და მასწავლებლის შესახებ უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა, არა უგვიანეს სამი დღისა,—წარუდგენს ცნობას განათლების სახ. კომისარიატს: არჩეულ კანდიდატს ამტკიცებს სახ. განათ. კომისარიატი.

შენიშვნა: 3, სახელწოდება ახლანდელი პირადი შედგენილობის პროფესორებისა და მასწავლებელთა ავტომატიურად შეიცვლება ამა დებულების სათანადო მუხლში აღნიშნული ნიშნების მიხედვით, ხოლო საბოლოო დასამტკიცებლად წარედგინება განათ. სახ. კომისარიატს.

დ. სამეცნიერო-სასწავლო ნაწილი.

7. უმაღლესი სასწავლებელი განაწილდება ფაკულტეტებად, რომელიც აერთიანებს სამეცნიერო დისციპლინის ძირითად ჯგუფებს და წარმოადგენს სწავლა მეცნიერების თვალსაზრისით დამთავრებულ მთლიან ერთეულს; ფაკულტეტს მიზნად აქვს განსაზღვრულ პროფესიის პრაქტიკულ მოღვაწეთა მომზადება. ფაკულტეტის რიცხვი თვითეულ უმაღლეს სასწავლებელში განისაზღვრება განათ. სახ. კომისარიატის მიერ, არსებული კანონებისა და ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ყოველ უმაღლეს სასწავლებელში უთუოდ უნდა არსებობდეს მუშათა ფაკულტეტი, რომელსაც მიზნად აქვს პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხების წრის პირთა მომზადება.

შენიშვნა: მუშათა ფაკულტეტის კონსტრუქცია მთლიანად და მისი ურთიერთობა უმაღლესი სასწავლებლის ორგანოებთან განისაზღვრება განსაკუთრებული დებულებით მუშათა ფაკულტეტის შესახებ.

შენიშვნა: ფაკულტეტის ფარგლებში სპეციალობას ყოველი უმაღლესი სასწავლებლისათვის ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი უმაღლესი სასწავლებლის გამგეობს წარდგენისამებრ.

8. სასწავლო გეგმას და კურსების გავლის წესს შეიმუშავებს ფაკულტეტი და განიხილავს უმაღლესი სასწავლებლის საბჭო, ხოლო განხორციელდება იგი განათლების სახალხო კომისარიატის დამტკიცების შემდეგ.

ე) უმაღლესი სასწავლებლის მართველობა.

9. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები იმყოფება განათლების სახალხო კომისარიატის პროფესიონალური განათლების მთავარ მმართველობის გამგებლობაში, მხოლოდ სახალხო განათლების კომისარიატს აქვს უფლება მოახდინოს ცვლილება უმაღლესი სასწავლებლის როგორც ორგანიზაციასა, ისე პირად შედგენილობაში.

10. უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო მოღვაწეობის უახლოესი გამგებლობა და ხელმძღვანელობა ეკუთვნის,—განათლების სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით,—უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს და მის მიერ ამორჩეულ გამგეობას ამ დებულების თანახმად.

11. საქმე, რომელიც მთლად უმაღლეს სასწავლებელს არ შეეხება, არამედ მხოლოდ ცალკე მის ფაკულტეტს, ფაკულტეტის საბჭოსა და მის პრეზიდიუმის გამგებლობაშია, —უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის მეთვალყურეობით და კონტროლით.

12. საქმეს, რომელიც ეხება ერთ ან რამოდენიმე ერთი-მეორის მახლობელ დისციპლინას, რაც უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება, განაგებს საგნობრივი კომისია ფაკულტეტის საბჭოს საერთო კონტროლისა და ხელმძღვანელობით.

შენიშვნა: საგნობრივი კომისიის რიცხვს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

13. საგნობრივ კომისიას შეადგენს: მახლობელი დისციპლინებით შეკავშირებული ყველა პროფესორები, დოცენტები, მასწავლებლები და მეცნიერების ყველა მუშაკნი რიცხვით, პროფესორ-დოცენტების რაოდენობის ერთი მესამედი და აგრეთვე წარმომადგენლები იმ სტუდენტებისა, რომელნიც ვალდებულნი არიან იმეცადინონ ამა თუ იმ საგნობრივ კომისიის დისციპლინებში.

სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევა მოხდება განსაკუთრებული ინსტრუქციის მიხედვით პროფესორ-დოცენტების რიცხვის არა უმეტეს ერთი მესამედისა.

14. საგნობრივი კომისია პროფესორთა შედგენილობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

თავმჯდომარის გარდა, ირჩევს აგრეთვე თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს. უკანასკნელი, თავმჯდომარესთან ერთად, შეადგენს საგნობრივ კომისიის ბიუროს, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

15. საგნობრივი კომისიის ფუნქციას შეადგენს:

ა) საგნობრივი კომისიის დისციპლინების მიხედვით სამეცადინო საქმის განაწილება მეცნიერების მუშაკთა შორის;

ბ) კონტროლის დაწესება სტუდენტების მიერ სასწავლო მოვალეობის შესრულებისათვის. ამ კონტროლის წესს შეიმუშავებს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი.

გ) პროგრამების დეტალურად შემუშავება, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სწავლის მეთოდების განხილვა, პროფესორ-მასწავლებელთა მოხსენებანი გასავლელი კურსების მეთოდებისა და მათი შედეგების შესახებ.

დ) ხელმძღვანელობა და აღრიცხვის განხილვა კომისიის გამგებლობაში მყოფ დამხმარე დაწესებულებათა (ლაბარატორიები, კაბინეტები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები.)

16. საგნობრივი კომისიის ყოველი დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ფაკულტეტის პრეზიდიუმს და ძალაში შედის იმ შემთხვევაში, უკე თუ ერთი კვირის განმავლობაში პროტესტი ქმნილი არ იქნება—ფაკულტეტის საბჭოში.

17, საგნობრივ კომისიაში ყველა საკითხი გადაწყდება ხმის უბრალო უმეტესობით და ხმისავე აშკარად მიცემით.

18, ფაკულტეტის ორგანოებს შეადგენს:

ა) ფაკულტეტის საბჭო,

ბ) ფაკულტეტის პრეზიდიუმი.

19. ფაკულტეტის საბჭოში შედიან:

ა) ფაკულტეტის სტუდენტების პრეზიდიუმი;

ბ(უწყებული ფაკულტეტის ყველა პროფესორი და დოცენტი.

გ) მასწავლებლები და სამეცნიერო-სასწავლო დარგის თანამშრომელნი რიცხვით პროფესორ-დოცენტების რაოდენობის ერთი მესამედი.

დ) უწყებული ფაკულტეტის წარმომადგენლები რიცხვით პროფესორ-დოცენტების რაოდენობის ერთი მესამედი.

ე) გარდა ამისა, ფაკულტეტის საბჭოში თითო წარმომადგენლის გაგზავნის უფლება აქვს გადამწყვეტი ხმით: განათლების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირს, პროფესიონალურ კავშირებს, რომელიც დაინტერესებული არიან ამა თუ იმ ფაკულტეტის მუშაობით, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და განათლების კომისარიატის შორის შეთანხმებით.

20. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი.

21. ფაკულტეტის საბჭო:

ა) სახალხო განათლების კომისარიატის წინადადებით შეიმუშავებს ფაკულტეტის მოქმედების საერთო პროგრამას.

ბ) გაანაწილებს სამუშაოდ მასწავლებლებს და მეცნიერების მუშაკებს ფაკულტეტის სხვა და სხვა ქვემდებარე დაწესებულებაში.

გ) აირჩევს პროფესორებს, დოცენტებს, მასწავლებლებს და სამეცნიერო-სასწავლო დარგის თანამშრომელთ.

დ) ხელმძღვანელობს ცალკე საგნობრივ კომისიების მოქმედებას.

შენიშვნა: ფაკულტეტის საბჭოს ყოველი დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს უმაღლეს სასწავლებლის გამგეობას და შედის ძალაში იმ შემთხვევაში, უკეთუ პროტესტქმნილი არ იქნება ერთი კვირის ვადაზე

ე) გადასწყვეტს სამოსწავლო წლის დაწყებას, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეიძლება უწყებულ ფაკულტეტზე.

ვ) შეადგენს და წარუდგენს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობას ფაკულტეტის და ყველა მის დაწესებულებების საერთო აღრიცხვას.

ზ) დანიშნავს საკონტროლო კომისიებს იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შეასრულეს ფაკულტეტის სტუდენტებმა სასწავლო ვალდებულება.

22. ფაკულტეტის საბჭოში ყველა საკითხი გადასწყდება ხმის უბრალო უმეტესობით და ხმის აშკარად მიცემით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახილველია პერსონალური კანდიდატურა პროფესორისა, დოცენტისა, მასწავლებლისა და მეცნიერების მუშაკის თანამდებობაზე ასარჩევი პირისა; ამ შემთხვევაში საკითხი ფარული კენჭის ყრით გადაწყდება.

23. ფაკულტეტის პრეზიდიუმი შესდგება დეკანისა და ორი წევრისაგან, რომელნიც აირჩევიან ერთი წლით. დეკანისა და პრეზიდიუმის ერთი წევრის თანამდებობაზე კანდიდატს აირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მეცნიერების მუშაკთა შედგენილობიდან. პრეზიდიუმის მესამე წევრის თანამდებობაზე ორ კანდიდატს ასახელებენ ის სტუდენტები, რომელნიც ფაკულტეტის საბჭოში შედიან. არჩეულ პირთა შესახებ უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა გაუგზავნის დასაბუთებულ შუამდგომლობას პროფესიონალური განათლების მთავარ მართველობას არჩეულ პირთა დასამტკიცებლად განათლების სახალხო კომისარის მიერ.

უკე თუ წარდგენილ კანდიდატებს განათლების სახალხო კომისარიატი არ დაამტკიცებს, მას უფლება ეძლევა დანიშნოს თავისი კანდიდატები უწყებული ფაკულტეტის წევრების შედგენილობიდან.

შენიშვნა: დეკანად შეიძლება იყოს მხოლოდ პროფესორი.

24. ფაკულტეტის პრეზიდიუმი, როგორც მისი ორგანო, ანხორციელებს ფაკულტეტის საბჭოს ყველა დადგენილებას.

25. დეკანი პირადად პასუხისმგებელია გამგეობის წინაშე ყოველივე იმის გამო, რაც ფაკულტეტზე მოხდება და უფლება აქვს შეაჩეროს საგნობრივი კომისიების ყოველი დადგენილება,—რასაც აცნობებს ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო თუ არ დაეთანხმა მას —საკითხი გადატანილ უნდა იქნეს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობაში.

იმ შემთხვევაში, როცა პრეზიდიუმის უმრავლესობა არ ეთანხმება დეკანს, პრეზიდიუმს შეუძლიან განასაჩიროს დეკანის ის დადგენილება ფაკულტეტის საბჭოში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებლის გამგეობაში, მაგრამ არ შეუძლიან შეაჩეროს მისი სისრულეში მოყვანა.

26. მთლად უმაღლესი სასწავლებლის საქმის გამგე ორგანოებად ითვლებიან:

ა) უმაღლესი სასწავლებლის საბჭო.

ბ) უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა.

27. უმაღლესი სასწავლებლის მთელი მუშაობის წარმართვისა და კონტროლისათვის, უმაღლესი სასწავლებლის საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება სამჯერზე არა ნაკლებ.

საბჭოში შედიან გამგეობის წევრები ფაკულტეტის დეკანები, ყველა პროფესორი და დოცენტი, აგრეთვე მასწავლებლები და მეცნიერების მუშაკნი, პროფესორ-დოცენტების რიცხვის ერთ მეოთხედ რაოდენობით. პროფესიონალური კავშირების საბჭოს წარმომადგენელნი არა უმეტეს ხუთისა, რომელნიც იგზავნებიან უმაღლესი სასწავლებლის მუშაობით დაინტერესებულ პროფკავშირების მიერ განათლების სახალხო კომისარიატისა და პროფესიონალური კავშირების საბჭოს შეთანხმებით; დაინტერესებული სახალხო კომისარიატების თითო წარმომადგენელი; მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტის ერთი წარმომადგენელი და უწყებული უმ. სასწ. ის სტუდენტები, რომელნიც აირჩევიან განსაკუთრებული ინსტრუქციის მიხედვით პროფესორ-დოცენტთა რიცხვის ერთი მეოთხედი რაოდენობით.

საბჭოში თავმჯდომარეობს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარე (რექტორი).

28. უმაღლესი სასწავლებლის საბჭო.

ა) ხელმძღვანელობას უწევს უმაღლესი სასწავლებლის მთლად სამეცნიერო და ადმინისტრატიულ საქმეს,

ბ) ადასტურებს სამეცნიერო მუშაკების კანდიდატურას, არჩეულს ფაკულტეტების საბჭოს მიერ და გამგეობის მეშვეობით წარადგენს განათლების სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად;

გ) აირჩევს სამეცნიერო კვლევა-ძიების ინსტიტუტების, კურსების, ასოციაციების დირექტორებს და წარადგენს გამგეობის მეშვეობით განათლების სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად.

29. საბჭოს დასკვნას უმაღლესი სასწავლებლის მუშაობის შესახებ, საბჭოს წევრების ცალკე აზრის თანდართვით და საბჭოს განზრახულებათ უმაღლესი სასწავლებლის მომავალი მუშაობის შესახებ, საწარმოო გეგმასთან დაკავშირებით,—გამგეობის თავმჯდომარე (რექტორი) გაუგზავნის სახალხო განათლების კომისარს.

30. უმაღლესი სასწავლებლის საბჭო თავის დადგენილებათა განხორციელებისათვის, მიმდინარე მუშაობისა, კონტროლისა და უმაღლეს სასწავლებლის ორგანოების ხელმძღვანელობისათვის, აირჩევს თავის წრიდან, პროფესორთა შორის, ერთი წლის ვადით რექტორს, ორ პრორექტორს და გამგეობის წევრებს, რომელთა რიცხვი უნდა უდრიდეს ფაკულტეტების რაოდენობას.

რექტორსა და გამგეობის წევრებს ამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი; უკეთუ წარდგენილი კანდიდატები არ იქნენ დამტკიცებულნი, განათლების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს დანიშნოს თავისი კანდიდატები საბჭოს წევრთა შედგენილობიდან.

31. რექტორი პირადი პასუხისმგებელია სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე, უკეთუ გამგეობის უმრავლესობა არ დაეთანხმება რექტორის განკარგულებას, გამგეობას უფლება აქვს განასაჩიროს იგი განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, ხოლო რექტორის დადგენილების სისრულეში მოყვანა არ უნდა შეაჩეროს.

32. ერთი პრორექტორთაგანი განაგებს სამეცნიერო-სასწავლო ნაწილს, ხოლო მეორე-სტუდენტების საქმეს და სამეურნეო ადმინისტრატიულ ნაწილს.

33. გამგეობა:

ა) ამტკიცებს ფაკულტეტების საბჭოსა და პრეზიდიუმების ყველა დადგენილებას და უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს იგინი.

ბ) დანიშნავს და დაითხოვს უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის ყველა მოსამსახურეს, ამასთანავე დაცულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის არსებული კანონები.

შენიშვნა: ძირითადი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის გამგეს დანიშნავს უმაღლესი სასწავლებლის გამგეობა.

გ) შეადგენს უმაღლესი სასწავლებლის ყოველწლიურ აღრიცხვას და, უმაღლესი სასწავლებლის საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, გაუგზავნის განათლების სახალხო კომისარიატს დასამტკიცებლად.

დ) აქვს ინიციატივის უფლება ყველა სამეცნიერო-სასწავლო საქმისათვის.

ე) უმაღლესი სასწავლებლის სახელით აწარმოებს ყოველგვარ მიწერ-მოწერას, როგორც განათლების სახალხო კომისარიატთან, ისე სხვა უწყებებთან და დაწესებულებებთან.

ვ) სისრულეში მოჰყავს უმაღლესი სასწავლებლის შესახებ განათლების სახალხო კომისარიატის და მის კანონიერ რწმუნებულ ორგანოების ყოველი დადგენილება.

34. უმაღლესი სასწავლებლის გამგეობას შეუძლიან, მისი კომპეტენციის ყოველი საკითხის დეტალურად განხილვისათვის შექმნას მუდმივად მომქმედი კომისია, ან გამართოს დროებითი თათბირი.

35) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების დებულების განხორციელება დაევალება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. განათლების სახალხო კომისარიატს.

36. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. იანვრის 12.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს 17 იანვარს და შაბათს 2 იანვარს, საღამოს 6 საათზე ბეჭდვითი კავშირის ბინაზე შესდგება მედვედევის წრის კრება.

— კვირას, 21 იანვარს,—11—2 საათამდე ამიერ-კავკასიის საგანგებო რაზმის შენობაში შესდგება გალკინის წრის კრება.

— სამშაბათს 23 იანვარს და შაბათს 27 იანვარს საღამოს 5 ს.—7 ს. საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე გაიმართება გალკინის წრის კრება.

— ოთხშაბათს, 24 იანვარს, საღ. 7 საათზე სკოლის გარეშე მუშაკთა სახლში გაიმართება პენიაკოვის წრის კრება.

— შაბათს, 27 იანვ., საღამოს 7—9 ს. ცენტრ. პარტიულ სკოლის შენობაში გაიმართება ამხ. ნოვიკოვის ხელმძღვანელობით სტუდენტთა წრის კრება.

— სამშაბათს 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება შეფების ბიუროს კრება მოწვეული არიან: ბიუროს წევრები—ოთარბეკოვი, ლ. დუმბაძე, პანკრატოვი, პუგაჩევი, სიროტკინი და კავკასიის ცალკე არმიის პოლიტიკურ განყოფილებათა წარმომადგენლები.

გთხოვთ ნუ დაიგვიანებთ.

შეფების ბიუროს პასუხისმგებელი მდივანი: არუსტანოვი.

— ს. კ. პ. ტფილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომი იტყობინება, რომ 1923 წ. 17 იანვარს, ოთხშაბათს საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება საერთო-რაიონული კრება.

დღის წესრიგი:

1. მე-2-ე რაიკომის ანგარიში მაისიდან—1923 წლის იანვრამდე.
2. რაიკომის ხელახალი არჩევნები.
3. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა პარტიის ყველა წევრების და კანდიდატების თავის დროზე გამოცხადება.

განცხადებანი

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამი, დები: ლიუდმილა, ნინო, ანა და ქეთევანი მოდებაძეები და სიძე მიხეილ კვატაძე, აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს და ნაცნობებს [illegible] 1-ლის შვილის, მეორის ძმის და მესამის ცოლის ძმის

არჩილ იოკიმეს ძის მოდებაძისას

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს 16 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე, გამოსვენება მოხდება ბინიდან ნიკოლაძის ქუჩა № 24 (ყოფ. სასტ. იტალია) ვერის სასაფლაოზე. (44—1—1)

კარპე და პლატონ სპირიდონის ძენი მოდებაძეები ოჯახებითურთ აცნობებენ ნაცნობებს და მეგობრებს ძვირფასი ბიძაშვილის სტუდენტის

არჩილ იოკიმეს ძის მოდებაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ბინიდან ნიკოლაძის ქუჩა № 24 ყოფილი სასტუმრო „იტალია“ ნაშუადღევს 3 საათზე ამ თვის 16 ს დღით სამშაბათს დასაფლავება ვერის სასაფლაოზე. (45—1—1)

ლუკა ანტონის ძე, ოლღა ივანეს ასული და ნინო ლუკას ასული ხელაშვილები ბიძა და ძალო დათა ანტონის ძე, მაშო სიმონის ასული ხელაშვილები და ლადო აბრამის ძე, ნუცა ივანეს ასული ხუციშვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ სამშაბათს 16-ს იანვარს 1923 წელს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ ერთად ერთ შვილის, ყოფილ რეალური სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე

ნიკოლოზ (კოლა) ლუარსაბის ძის ხელაშვილისა

გადახდილი იქნება ქუკის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. (42—2—2)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით. რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობით

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით [illegible] საჭიროებენ. ექიმობს სიფილისის ნერვიულ გართულებათა.

სავადმყოფოს სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (733—25—14)

დაკარგა პირადობის მოწმობა თავისუფლების (ხოვრინის) № 24.736 ივანე მელიქიშვილმა და სხვა დოკუმენტები ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)

დაკარგა პირადობის მოწმობა ნინა ანდრიას ასული ბუზუნავას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (43—1—1)

დაკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის მოწმობა სტ. მიხეილ ელიავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)

ამიერ-კავკასიის [illegible]

სამმართველო

ამით აცნობებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცალკე **სახალხო კომისარიატებს** და დაწესებულებებს, რომ ამა წლის 15 იანვრიდან **კრედიტით გადაზიდვა** ნება დართული იქნება მხოლოდ **სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშის უზრუნველყოფის პირობით**, ამის გამო **სახალხო კომისარიატებს** ვთხოვთ მათ მუშაობაში დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად მიიღონ სასწრაფო ზომები სახელმწიფო ბანკში სათანადო კრედიტის თავის დროზე გახსნისათვის.

დედანს ხელს აწერს სამმართველოს კომერციული დირექტორი **ლედერი.**

ეკონომიური ნაწილის უფროსი **აბელოვი.**

(კრ. 54—3—2)

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ცენტრ. სატრანსპორტო განყოფილების

სატრანსპორტო-საექსპედიციო-საკომისიო

კანტორა

ამით აცხადებს სახელმწიფო-საზოგადოებრივ, კერძო ორგანიზაციების და პირთა საყურადღებოთ, რომ იგი იღებს ყოველგვარ დავალებას ქალაქის ფარგლებში ტვირთების გადასაზიდათ, ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის რკ. გზებზე საქონლის გასაგზავნათ კანტორა იღებს აგრეთვე გრძელი და მოკლე ვადით თავის საწყობებში ქალაქის ყველა ნაწილებში, საქონელს და სხვადასხვა საოჯახო ნივთების შესანახად მალიან ზომიერ ფასებში. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს ეძლევათ შეღავათი.

ც. სატრანსპორტო განყოფილების კანტორა მოთავსებულია თამამშევის ყოფ. ქარვასლაში თავისუფლების მოედანზე (ყოფ. ერევნის მოედანი). კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე.
ტელეფონი № 7—27

კრ. 63—3—1 ც. სატრანსპ. განყოფილების კანტორა.

1922 წელსა 1-ლ ნოემბერს

წავიდა სახლიდან [illegible] გიორგის ძე [illegible] მშობლების დაუკითხავათ წაიღო სახლის წიგნი № 6753, ჩაითვალოს გაუქმებულად.

(46—1—1) ზ. ლებანიძე.

სასოფლო-სამეურნეო და შინა-მრეწველობის

გამოფენა

მოსკოვში საზღვარ-გარეთის განყოფილებით 1923 წელს

ცენტრალურ გამოფენის ადგილი: ყირიმის ხიდის იქითა მოედანი და „ნესკუჩნი სადი“.

გამოფენის დრო: 1923 წ. 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე. გამოფენაში იღებენ მონაწილეობას რუსეთის საბჭ. ფედერ. სოც. რესპუბლიკაში და აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში შემავალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი და წარმოებანი კოლექტიური და კერძო მეურნეობანი და წარმოებანი.

საზღვარ-გარეთის განყოფილებაში მონაწილეობენ საზღვარ-გარეთის დაწესებულებები და წარმოებანი.

გამოფენას აქვს ნიმუშების ბაზრობის უფლება.

საუკეთესო ექსპონატების წარმოდგენისათვის დაწესებული იქნება ჯილდო და პერსონალური პრემიები.

გამოფენის განყოფილებანი: 1. სამეცნიერო-საგანმანათლებლო, 2. სასოფლო-სამეურნეო და ტყის სამეურნეო საქმე, 3. მიწათმოქმედება, 4. ტყის საქმე, 5. საქონლის მოშენება, 6. სამეფუტკრეო, 7. [illegible] საქმე, 8. მიწის მუშაობის პროდუქტების შენახვა და გადამუშავება, 9. საქონლის და მრეწველობის პროდუქტები, 10. შინა-მრეწველობა, 11. კოოპერაცია, 12. მიწის მოწყობის და კოლონიზაციის საქმე, 13. სასოფლო მეურნეობის საინჟინერო საქმე, 14. [illegible] და ყოფა ცხოვრება, 15. შრომა, 16. სავეტერინარო საქმე, 17. სასოფლო მეურნეობის და ტყის მეურნეობის სახელმწ. [illegible], 18. საზღვარ-გარეთის ექსპონატები.

ცნობების მისაღებად და წინადადებისთვის მიმართეთ დილის 10—12 საათამდე ტფილისი, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატი, საქართველოს გამოფენის კომიტეტს ტელ. 9—63.

გამოფენის კომიტეტი: თავმჯდომარე ვ. ვ. კანდელაკი.
თავმჯდომარის მოადგილე ი. ზ. ანდრონიკაშვილი.
წევრი: ი. ზ. ვინოგრადოვი-ნიკიტინი.
მდივანი ვ. ნაზაროვი.

(2—2)

ტირაჟი 10,000